# ახალგაზრდა კომუნისტი

დაარსდა 1921 წელს

ხუთშაბათი, 12 ივლისი № 78 (11564) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

1990 წლის 9 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ. დილის პლენარულ სხდომაზე თავმჯდომარეობდა ნ. ი. რიჟკოვი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დელეგატებმა საფუძვლად მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ სკკპ XXVIII ყრილობის რეზოლუციის პროექტი.

შემდეგ სხდომაზე გაიმართა აზრთა გაზიარება ზოგიერთ მიმდინარე და პროცედურულ საკითხზე.

შემდეგ კითხვებზე პასუხი გასცეს: ა. ა. ნიზოვცევამ — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, და ნ. ე. კრუჩინამ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა.

ყრილობამ დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

შესვენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა და ცნობად მიიღო ი. ა. მანაენკოვის — სკკპ XXVIII ყრილობის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით ზოგიერთი დელეგატის უფლებამოსილებათა შემოწმების შესახებ.

დელეგატებმა ყოველმხრივ განიხილეს და მიიღეს ყრილობის შემდეგი რეზოლუციები:

„თანამედროვე ეტაპზე პარტიის სამხედრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ“;

„დემოკრატიულ უფლებათა დასაცავად, კომუნისტთა დევნის წინააღმდეგ“.

შემდეგ სიტყვა მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. ნ. იაკოვლევს, რომელმაც გააპროტესტა დელეგატთა ჯგუფთან მისი ერთ-ერთი შეხვედრის შესახებ ყრილობაზე არაოფიციალურად გავრცელებული ცნობები და ამას ყოვლად უსაფუძვლო მონაჭორები უწოდა.

მიცემულია დავალება გაერკვნენ ამ განცხადების ფაქტების გამო.

კითხვებზე პასუხი გასცა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. კრიუჩკოვმა.

საღამოს სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი თავმჯდომარეობდა, დელეგატები შეუდგნენ სკკპ წესდების პროექტის განხილვას.

ინფორმაცია ყრილობის მონაწილეთა მიერ შეტანილი ცვლილებების და დამატებების შესახებ გააკეთა კომისიის ხელმძღვანელმა მ. ს. გორბაჩოვმა. ყრილობამ პარტიის წესდების პროექტი მიიღო საფუძვლად, რის შემდეგაც დაიწყო შესწორებებისა და შენიშვნების დეტალური განხილვა.

●

1990 წლის 10 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ს. ი. გურენკო — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

პარტიის XXVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის განხილვის შედეგების თაობაზე გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი.

შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ.

შესვენების შემდეგ ყრილობა შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატურების დასახელებას და განხილვას.

დასახელებულ კანდიდატურათა განხილვის შედეგად ფარული კენჭისყრისათვის სიაში შეიტანეს თ. გ. ავალიანი და მ. ს. გორბაჩოვი.

ყრილობამ შექმნა ხმის დამთვლელი კომისია არჩევნების მოწყობისათვის.

●

გუშინვე გაიმართა არჩევნები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.**

# და კვლავ აღიმართება გუმბათი





მაშ ასე, გადაწყდა: ირგვლივ მდებარე ტერიტორია მიმაგრებულია ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაზე. ეს ტაძარი, რომელიც მდებარეობს თბილისში ხუდადოვისა და თოფურიძის ქუჩების გადაკვეთაზე, მხოლოდ ახლა იძენს თავდაპირველ არსს, მანამდე კი, როგორც, სამწუხაროდ, ეს არაერთხელ მომხდარა, მას „პროფილი შეუცვალეს“ და აქციეს აბანოდ.

— სამწუხაროდ ფაქტი მოწმობს ჯერ კიდევ არცთუ ისე შორეული წლების ზნე-ჩვეულებებს, — თქვა ეკლესიის წინამძღვარმა მამა ვახტანგმა. — ათასობით ტაძარი, რომლებმაც დაკარგეს აღმზრდელობითი ფუნქციები, გადაიქცა საწყობებად, სახელოსნოებად, აბანოებად.

ბოლოს და ბოლოს, მოხდა ღირებულებათა გადაფასება. საზოგადოებრიობის ინიციატივით გადაწყდა ეკლესიის ძველი სახის აღდგენა. უკვე შეუდგნენ ტერიტორიის გაწმენდას. აქ ჯერჯერობით არ არის ოფიციალურ სამუშაოთა მწარმოებელი, სამუშაოებს კი ხელმძღვანელობენ თვით წინამძღვარი და საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარე ლევან ფალავანდიშვილი.

— ფული ცოტა გვაქვს, თორემ მეგობრები არ გვაკლია, — თქვა ლ. ფალავანდიშვილმა, — რადგან მათ დაუხმარებლად თავს ვერ გავართმევდით უდიდესი მოცულობის სამუშაოებს. საწარმოო გაერთიანებამ „საქტრანსგაზმა“ და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უფასოდ გადმოგვცეს აბანოს შენობების დანგრევისათვის საჭირო ტექნიკა — ექსკავატორი, ამწე, ბულდოზერი. მათი მეშვეობით გავიტანეთ ორი ათასი მანქანა სამშენებლო ნაგავი. სახსრებს მუშათა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც ასევე ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციებს ეკუთვნიან, ვიღებთ ლენინის რაიონის მრეწვმშენბანკის № 000700558 სპეციალურად გახსნილი ანგარიშიდან, სადაც ფულის გადარიცხვა შეუძლია ყველა მსურველს, აგრეთვე სანთლების გაყიდვისა და მრევლის ქველმოქმედების ხარჯზე. სხვათა შორის, სწორედ მათ შექმნეს დროებითი სამლოცველო ერთ-ერთ კარიბჭეში რელიგიური კულტისათვის საჭირო ყველა ატრიბუტით. და, ირგვლივ გამეფებული სიცარიელის მიუხედავად, ეკლესიამ დაიწყო ცხოვრება.

**ლარისა თუმანიშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

**სურათებზე:** და კვლავ აღიმართება გუმბათი აღდგენილი ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიისა; დროებითი სამლოცველო ერთ-ერთ კარიბჭეში.

**ბონდო დვალიშვილის** ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სამართლიანობის კავშირის
# მოწოდება-დეკლარაცია

**ახლახან გაიმართა საქართველოს სამართლიანობის კავშირის საორგანიზაციო კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:**

1. **საქართველოს სამართლიანობის კავშირის შექმნა.**
2. **საქართველოს სამართლიანობის კავშირის გამგეობის არჩევნები.**
3. **წესდების დამტკიცება.**
4. **დეკლარაციის ტექსტის დამტკიცება.**

**საქართველოს სამართლიანობის კავშირის შექმნის შესახებ ინფორმაცია გააკეთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა, ლენინის რაიონის პროკურორმა ხ. ვ. მაჭავარიანმა. აზრი გამოთქვეს: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თენგიზ ურუშაძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრის დოცენტმა ჯემალ ონიანმა, ინჟინერმა რომან კინწურაშვილმა.**

**დადგინდა, რომ საჭიროა შეიქმნას სამართლიანობის კავშირი და ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეგისტრაციაში გაატაროს აღნიშნული ორგანიზაცია.**

**კრებაზე აირჩიეს გამგეობა, დაამტკიცეს წესდება და დეკლარაცია, რომლის ტექსტსაც მცირეოდენი შემოკლებით დღეს გთავაზობთ.**

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი სამშობლო, საქართველო წარმოუდგენლად რთულ მდგომარეობაშია, ყოველი ცისმარე დღის დალამების გვეშინია — მშვიდობიანად დაგვიბრუნდებიან თუ არა შინ ახლობლები. დაღამება გვაშფოთებს — რაიმე ახალი, ტრაგიკული ამბავი არ მოხდეს.

მოსახლეობა აღშფოთებულია, მოსახლეობა შეძრწუნებული და დაბნეულია. ბევრი გამოსავალს ვერ ხედავს, საზოგადოება და პიროვნება სოციალურად თითქმის დაუცველია.

სახალხო ფრონტსა და ფორმალურ თუ არა ფორმალურ ორგანიზაციებს, რომლებმაც ბევრი სასიკეთო რამ გააკეთეს და აკეთებენ კიდეც საქართველოს კეთილდღეობისათვის, არც თუ იშვიათად წურბელებივით ეტმასნებიან ერის შემარცხვენელი, ულირსი, დაბალი ინტელექტისა და ზნეობის ადამიანები.

არც ის შეიძლება მიიჩქმალოს, რომ ფართოდ ამოქმედდა შანტაჟისა და დემაგოგიის ტაქტიკა, გავრცელდა „შეწერები“ და გამოძალვა „ეროვნული“ მოტივებით...

დაუსჯელობისა და ანტიჰუმანურობის სინდრომმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. როგორც ჩანს, ამ დიდი განსაცდელის, ერისათვის მეტად შემაშფოთებელ ჟამს, დადგა დრო, საზოგადოებრიობამ აღიმაღლოს ხმა, არა მარტო აშკარა ბოროტმოქმედების, არამედ მათი, ნებსით თუ უნებლიედ, ხელის დამფარებლების, საქმეთა მიმჩქმალავთა წინააღმდეგ. ვინც დააშავა უწინ თუ ახლა, ყველამ პასუხი უნდა აგოს ერის წინაშე.

ამ მიზნით, საქართველოს ღვიძლო შვილნო, მოგიწოდებთ ყველას, წინ აღვუდგეთ მოზღვავებულ აღვირახსნილობას, ვიდრე გარე ძალა ჩაერეოდეს და „დახმარებას“ აღმოგვიჩენდეს. ჩვენ თვითონვე დავამყაროთ წესრიგი, ჩვენსავე სახლში. ჩვენი მომრევი არავინაა. ჯერ ბოროტს არ უზეიმია სიკეთეზე.

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „საქართველოს სამართლიანობის კავშირი“, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკაში მცხოვრებ მოქალაქეებს, განურჩევლად ეროვნებისა, რჯულისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პროფესიისა, ვისაც საქართველო მშობელ დედად მიაჩნია, ვისაც მისი მომავლისა სჯერა, იცის მტრისა და მოყვრის გარჩევა.

კავშირის მიზანია ეროვნულ-საზოგადოებრივ ტრადიციებზე დაყრდნობით, მორალურ ზნეობრივი ნორმებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოყენებით ებრძოლოს ყოველგვარ უსამართლობას, დაიცვას პიროვნების სამართლიანი ინტერესები, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საზოგადოებაში ზნეობრივი და იურიდიული კანონების ზეგავლენის ზრდას, განუმტკიცოს ადამიანებს რწმენა იმისა, რომ პატიოსნებას ქომაგი ჰყავს, სიმართლეს დამცველი ეყოლება.

კავშირი მთელ თავის ენერგიასა და ძალისხმევას მოახმარს საქართველოში სამართლიანობის, ობიექტურობის მხარდაჭერას, საქართველოსა და მის მოქალაქეთა სუვერენული უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვას, წინ აღუდგება თვითმარქვია, ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი თაღლითებისა და მოხულიგნო ელემენტების აღვირახსნილობასა და თარეშს, ძმათა შორის სისხლისღვრასა და კონფლიქტს, უკანონოდ პასუხისგებაში მიცემას, რესპუბლიკაში მექრთამეობის, გამოძალვისა და სხვა, პატიოსანი ადამიანისათვის მიუღებელ, მავნე მოვლენათა ზრდას. კავშირი მოითხოვს ორგანიზაციებისა და პირებისაგან კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა უცილო შესრულებას, ანარქიისა და განუკითხაობის აღკვეთას, მოქალაქეთა ინტერესების სრულ რეალიზაციას.

კავშირი, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა მოთხოვნით, ჩაერევა კონფლიქტურ სიტუაციებში, რათა დაიცვას უსამართლოდ დევნილი, შევიწროებული მოქალაქენი. კავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს იმ გარემოებას, როდესაც ესა თუ ის თვითმარქვია ჯგუფი, სიტუაციის რეალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, თავს ესხმის ამა თუ იმ პიროვნებას, ორგანიზაციას, კოლექტივს. განიხილავს მათ მიერ წამოყენებულ პრეტენზიებს კანონიერების, ზნეობისა და ჰუმანიზმის ნიშნით. ყოველივე ეს მოხდება დემოკრატიის, საჯაროობისა და კანონისა და ზნეობის მკაცრი დაცვით, ფაქტებისა და შექმნილი მდგომარეობის გამოყენებითა და შეჯამებით. კავშირი არ ახდენს სახელმწიფოებრივ თუ არაფორმალურ ორგანიზაციათა დუბლირებას. იგი საჭიროების მიხედვით თანამშრომლობს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასთან, პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. კავშირის უზენაესი მიზანია საქართველოს სრული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თავისუფლებისათვის ბრძოლა, ქართველი ერის ინტერესების დაცვა საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ინტერესების შეულახავად. კავშირი ითანამშრომლებს იმ დემოკრატიულ ძალებთან, რომლებიც აერთიანებენ ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობებს და მიზნად ისახავენ საქართველოს სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ თვითგამორკვევას და თავისუფლებას მშვიდობიანი გზით, პოლიტიკურ-სამართლებრივი საშუალებებით.

კავშირი განიხილავს საქართველოს ტერიტორიას, როგორც ერთიანს და განუყოფელს. კავშირი მხარს არ დაუჭერს იმ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც შელახავენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის უფლებებს, ამავე დროს მკაცრ წინააღმდეგობას გაუწევს იმ პიროვნებას, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად დაისახავს საქართველოსა და ქართველი ერის შეურაცხყოფასა და მტრობას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი.

დარწმუნებული ვართ, საქართველოს ყველა პატრიოტი შვილი დაგვიჭერს მხარს ამ კეთილშობილურ საქმეში, შემოვა ჩვენს რიგებში.

დღეს, როდესაც ხარობს ნათელი მომავლის ნერგი, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ერთობა, სიყვარული, შენდობა, ძალის მოკრება.

ჩვენთან არს ღმერთი!

**საქართველოს სამართლიანობის კავშირის გამგეობა**

## ღია წერილი რედაქციას

# ფერეიდნელი ქართველის ტკივილი

**სამშობლოში** დაბრუნებული ფერეიდნელი ქართველები 18 წელია მტკივნეულად განვიცდით ირანში დარჩენილი მშობლების, დების, ძმების და ახლო ნათესავების უნახაობას.

1968–1972 წლებში დიდი ბრძოლის შედეგად ჩვენ შევძელით ნანატრ სამშობლოში დაბრუნება. 18 წლის შემდეგ იმ დღის გახსენებისას გაოცებული ვფიქრობთ, თუ რა ძლიერი იყო ის ძალა, რომელიც გვეწეოდა წინაპართა მიწისაკენ. უსაზღვრო რწმენით და სიყვარულით მოვისწრაფოდით და სხვა არაფერზე აღარ ვფიქრობდით, არც ფერეიდანში დარჩენილ ახლობლებთან განშორებაზე, არც დიდი ხნის წინათ მოწყვეტილ სამშობლოში ცხოვრების პირველ წლებზე, რადგანაც გვჯეროდა, რომ აქ ჩამოსვლით ტანჯული წინაპრების სულს გავახარებდით.

მივიღეთ ვიზები, მივულოცეთ ერთიმეორეს ეს ბედნიერება. დადგა განშორების ჟამიც, ალსავსე ნაღვლითა და შინაგანი დაძაბულობით მალულად ვათვალიერებდით ერთმანეთს, თითქოს გვსურდა სამუდამოდ ჩაგვრჩენოდა მეხსიერებაში მათი სახეები, თუმცა ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ერთად ყოფნა. ყველა ტიროდა, ვტიროდით ჩვენც, ქართველებიც და ჩვენი სპარსელი მეგობრებიც, ბოლოს ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და წელში გამართულნი, ამაყნი, საქართველოსკენ მომავალ მატარებელში ავედით.

...მაშინ ჩვენი ქართველი ერის იმედი გვქონდა და, მართალი რომ გითხრათ — დიდი სითბოს მოლოდინიც, გვჯეროდა, რომ თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ განქარდა ჩვენი სევდა სამშობლოს გარეთ ყოფნისა. მას შემდეგ ორი ათეული წელია და ყოველ დღე დედის თუ და-ძმების ცრემლიანი თვალები გვიდგას თვალწინ. ზოგი მათგანი დღეს ცოცხალი აღარც არის. უეჭველია, მათ სამშობლოსა და ჩვენზე ფიქრში ამოხდათ სული.

18 წლის განმავლობაში ყველა ღონე ვიხმარეთ, რათა მავანთა და მავანთა გული მოგველბო, გვეპოვა ჩვენთვის გულშემატკივარი კაცი, მაგრამ ამაოდ, ვერ ვნახეთ. სიხარულით ცას ვეწიეთ, როცა ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ჩვენი სისხლი და ხორცი, ქართველი კაცი, რომელმაც იცის ჩვენი ტკივილი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ვიფიქრეთ, გვეშველაო, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა...

აზერბაიჯანელებმა ვითომდა ნათესავების სანახავად სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეს, რის შედეგადაც მათთვის გამონაკლისად უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულება დაიდო ირანთან, თურქეთთანაც გზა გახსნეს. ამერიკაში მიმოსვლაც გახდა შესაძლებელი, თუმცა მხოლოდ გარკვეული წრეების ოჯახებისათვის, საქართველოსკენ ცქერით თვალებამოღამებული ფერეიდნელი დედის ტკივილის გაგება კი არავის უნდა. განა რა დაშავდება, რომ ჩვენც, ფერეიდნელ ქართველებსაც მოგვეცეს საშუალება, რომ ვიზის გარეშე ჩავიდეთ ჩვენს მშობლებთან და ძმებთან, ახლობლებთან და ისინიც გვესტუმრონ ჩვენს მიწაზე, რომელიც მათი წინაპრების მიწაც არის. ჩვენ გვინდა თხოვნით მივმართოთ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ გიორგი ჯავახიშვილს, მივმართოთ ყველა ინსტანციას, ვისაც ხელეწიფება დახმარება, რომ გაიგონ ჩვენი გულისწუხილი, ჩვენი სატკივარი და შემწედ მოგვევლინონ.

**რეზა მიქელაძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი.**

# ფაქტები კომენტარის გარეშე

**დღეიდან ჩვენს გაზეთში კვლავ გამოვაქვეყნებთ ყოველკვირეულ ინფორმაციას რესპუბლიკაში მომხდარ დანაშაულზე. იგი მომზადდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეოდან მიღებულ შეტყობინებათა საფუძველზე. რაკი დანაშაულზე ინფორმაცია ოპერატიულია, ხოლო გამოძიება ჯერაც დაუსრულებელი, მას ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ.**

1 ივლისს რაიონულ შინაგან საქმეთა განყოფილებას მიმართა თბილისელმა ე. მ.-შვილმა (დაბ. 1974 წ) იმის გამო, რომ ჯანაშიას ქუჩის ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში შეეცადნენ მის გაუპატიურებას. დაკავებულნი არიან გ. ა-შვილი (დაბ. 1973 წ) და ჯ. მ-ა (დაბ. 1973 წ). მიმდინარეობს ძიება.

●

1 ივლისს თბილისში, კრწანისის რ-ში, დაკავებულია ვ. ვ-ძე (დაბადებული 1964 წ), მძღოლი, რომელსაც აღმოაჩნდა 33 გრამი მარიხუანა.

●

2 ივლისს, 12 საათზე, ზუგდიდში, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე, ფაბრიკის ტექნოლოგმა ვ. კ-მ (დაბ. 1961 წ) „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით სასიკვდილოდ დაჭრა ამავე ფაბრიკის დირექტორი, მიმდინარეობს ძიება.

●

2 ივლისს, საღამოს, სენაკში დააკავეს ა. მ.-ძე (დაბ. 1969 წ), ზუგდიდის რ/ში მცხოვრები), ჯ. ფ-ა (დაბ. 1969) და გ. ხ-ა (დაბ. 1966 წ.) — ჩხოროწყუს რაიონში მცხოვრებნი. მათ აღმოაჩნდათ 60 გრამი ჰაშიში, „ნაგანის“ ტიპის თვითნაკეთი რევოლვერი და „ცივი იარაღის“ კატეგორიის დანა.

გამოძიება მიმდინარეობს.

●

4 ივლისს, დაახლოებით 05 საათსა და 20 წუთზე, თელავის რაიონის სოფელ წინანდალთან გაზ-53 მარკის ავტომანქანა დაეჯახა ვაზ-2101 მარკისას, რის შედეგადაც ადგილზევე გარდაიცვალა 9 ადამიანი.

●

5 ივლისს ზუგდიდისა და გალის შინაგან საქმეთა განყოფილებების მუშაკებმა. დააკავეს გ. ფ-ია (ადრე ნასამართლევი) და გ. ჭ-ა (დაბ. 1966 წ., ადრე ნასამართლევი), რომლებზეც საკავშირო ძებნა იყო გამოცხადებული. მათ წინააღმდეგობის გაწევისას გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. დაკავებულებს აღმოაჩნდათ თვითნაკეთი „კნოპკიანი“ დანა, მცირეკალიბრიანი შაშხანა და აეროზოლური ბალონი „სი-ესის“ გაზით.

●

6 ივლისს, დაახლოებით 20 საათზე, ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მე-14 სართულიდან გადმოვარდა აქ მცხოვრები თ. ჯ-ძე (დაბ. 1967 წ., აღნიშნული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი) იგი გარდაიცვალა. მიმდინარეობს ძიება.

●

6 ივლისს, ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე, დაახლოებით 03 საათზე, ბარაკის ტიპის ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში (აშენებულია 1913 წელს) დაუდგენელი მიზეზებით იფეთქა ხანძარმა. წინასწარი მონაცემებით, აქ მცხოვრები 17 ოჯახისათვის მიყენებული ზარალი 50 ათას მანეთამდეა. მიმდინარეობს ძიება.

# მხარს ვუჭერ

მთლიანად ვეთანხმები და მხარს ვუჭერ ბატონი თამაზ წივწივაძის წინადადებას ქალაქ ქუთაისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. დიდი ხნის წინ გასაკეთებელ ამ საშვილიშვილო საქმეს დღეს დაყოვნება ნამდვილად არ ეგებების. აქვე მინდა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო ერთი მოკრძალებული სურვილი.

იმის გამო, რომ უახლოეს მომავალში (ღმერთო, კაი ყურით გაგვიგონე!) მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკაში ჩართულ დამოუკიდებელ საქართველოში ერთ-ერთ წარმმართველ ადგილს დაიკავებს ჩვენი, როგორც ისტორიულ გეორგიანელთა, სოფლის მეურნეობის რადიკალური გარდაქმნა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული უძველესი კოლხეთის — ამ მეტად პერსპექტიული და მიუტევებლად აუთვისებელი სუბტროპიკული რეგიონისათვის ახლებურად მოაზროვნე, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე, წინადადება შემომაქვს ქუთაისის უნივერსიტეტისათვის იმთავითვე დაიგეგმოს მრავალპროფილიანი სუბტროპიკული ფაკულტეტი.

**ამირან კალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამული, ენა, სარწმუნოება

# ილია ჭავჭავაძე, ქართული მუსიკა და დღევანდელობა

### 1. „მოყვარს პირში უძრახე“...

[illegible]არ დარჩენილა ჩვენი ერის ცხოვრებაში არც ერთი საჭირბოროტო პრობლემა, რომელსაც არ შეჰხებოდეს დიდი ილიას მადლიანი კალამი, მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართულ მუსიკას; ყოველივე ამაზე მეტყველებს ილიას მიერ დაწერილი ცნობილი წერილი „ქართული ხალხური მუსიკა“, რომელიც ყველთვის მოგვიწოდებს, ფხიზლად ვიყოთ ქართული მუსიკის სიწმინდის, მისი ეროვნული თვითმყობადობის დასაცავად. წერილი დაიბეჭდა 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ (იხილეთ — ი. ჭავჭავაძე, ხუთტომეული, ტომი 3, გვ. 131).

ილიას კარგად ესმოდა ის, რომ მეტყველებითი აზროვნების შემდეგ, ცივილიზირებული ერების ისტორიაში ერის გამოსაჩენად, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის „თვითმყობად“, „თვითნაჩენ“ მუსიკალურ აზროვ[illegible]ბას და კულტურას; სწორედ ეს [illegible]ა ძირითადი ილიას წერილში. [illegible]ა წერს: „რომ ქართული სი[illegible] და გალობა ევროპულს არა [illegible]გავს, ეგ აშკარაა და ამას არავითარი დამტკიცება არ სჭირდება, როგორც გვარწმუნებენ მცოდნე კაცები“ (ილია ეყრდნობა სპეციალისტებს). ცხადია, უნდა დავეთანხმოთ ამ უტყუარ ჭეშმარიტებას; ილია განაგრძობს:

„ქართული სიმღერა ხომ ევროპულს სრულებით არა ჰგავს, ჰგავს კი აზიურს? ჩვენ აქ სახეში გვაქვს ქართული საერო, საეკლესიო ბანით საგალობელნი და არა მარტო სათქმელნი, ყოველისფრით უნდა იგულისხმებოდეს, რომ უნდა აზიურსა რაშიმე ჰგვანდეს“ და ილია ამტკიცებს: „სპარსელებს ჩვენი ბანით სათქმელი სიმღერა სულ არ მოსწონთ, იმიტომ, რომ არ ესმით; რომ ესმოდეთ, ეგ იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ძირი ან ფერი ერთი აქვთ... იმოდენად მართალი ვიქნებით ვთქვათ, რომ აზიის არა რომელსამე ქვეყნისას არ ჰგავს აქაური ბანით სათქმელი სიმღერა; აქ საკუთარი თვითნაჩენი, თვითმყოფი სიმღერაა.

[illegible]არიან ჩვენში მუსიკის მცოდნე უცხო ქვეყნის ორიოდე კაცნი, რომელნიც ამ მხრით დაჰკვირვებიან ჩვენს სიმღერებს, სცდილან მისი ვითარება, თვისება, ხასიათი ზედმიწევნით და ღრმად ემცნოთ და იმითაც ფიქრად მოსდით იგივე, რაც ჩვენა ვსთქვით ქართულის სიმღერების თვით-ნაჩენობასა და თვით-მყოფადობაზე?“ (ისევ სპეციალისტებს ეყრდნობა). ილიას შესანიშნავად ესმის ეროვნული მუსიკა და კარგად ერკვევა სხვათა მუსიკალურ კულტურაში; და აქვე ამბობს ჭეშმარიტებას, რომ „რასაკვირველია ყველა ერს ერთს ხარისხამდე არა აქვს აყვანილი თავისი მუსიკა, როგორც თვით ენა-მეტყველებაც. ამ მხრივ ზოგიერთი ძალიან წინ წასულია, ზოგი ჯერ მოდის“. მან კარგად უწყის, რომ ქართულ მუსიკას განვითარება სჭირდება; იმისათვის, რომ შემდგომში ვიმსჯელოთ, თუ როგორ წარიმართა ქართული მუსიკა, ერთხელ კიდევ მივმართოთ ილიას მოსაზრებას თუ რა ხდება [illegible]როპულ და აზიურ მუსიკალურ სამყაროში: იგი წერს:

„ევროპამ ამ მხრივ დიდად შორს დაავდო აზია და დღეს ევროპული მუსიკა დიდად გაბრწყინებულია, განწმენდილია, დახელოვნებულია და, რა თქმა უნდა, ქვეყნიერებაზე უპირატესობს. ხოლო ვინც დააკვირდება აზიურს მუსიკას და შეაფარდებს ევროპისას იგი ადვილად ჰგრძნობს, რომ ამ ორთა მუსიკათა შორის ბუნებით არსებითი სხვაობა არის; თუმცა ერთი ისე განკარგებული, შეკეთებული და დახელოვნებული არ არის, როგორც მეორე, მაგრამ არა გვგონია ერთმა მეორეს ოდესმე სძლიოს და გზა დაათმობინოს“. და იგი ადასტურებს ჭეშმარიტებას: „აზიური მუსიკაც იმრიგადვე თავის გზაზე იდგება და ივლის, როგორც ევროპული თავის გზაზედ მდგარა და უვლია“. ილიას ზემოხსენებულ აზრს უკან კი ის იმალებოდა, რომ ქართულ მუსიკას თავის გზაზე ევლო, ისევე როგორც ჩვენს ლიტერატურას გა[illegible] [illegible]რების ეროვნული ფორმები [illegible] საკაცობრიო თვისებებით. [illegible] ილიას მკვლელობის შემდეგ, გარკვეულ პერიოდში მის ბევრ იდეას ფრთები შეეკვეცა და ქართული მუსიკის სიწმინდისათვის ილიას ბრძოლასაც.

ქართული პროფესიონალური მუსიკის კერა იყო თბილისი, ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში შემოიჭრა: 1) ევროპული მუსიკის მიბაძვა; 2) თბილისში საუკუნეების მანძილზე არსებობდა აზიური მუსიკა; 3) გაჩნდა ახალი, ამერიკული ჯაზური ფორმები.

ამ მოვლენას ჩვენი სინამდვილისათვის დადებითთან ერთად უარყოფითი ფორმები გაუჩნდა. ბევრმა ჩვენმა ავტორმა უგულებელყო ეროვნული და ხელი მიჰყო მიმბაძველობას; დილეტანტი მუსიკოსები კი იმ ზომამდე მივიდნენ, რომ გამოჩენილი უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებები მიუსადაგეს ქართულ ლექსებს და ხან ქუთაისურ, ხან თბილისურ ქალაქურ „ფოლკლორად“ გაასაღეს.

ასეთი ბედი ეწია დიდი იტალიელი კომპოზიტორის ჯუზეპე ვერდის „ჟერმონის არიას“, რომელიც იმღერებოდა თვით ილიას ტექსტზე „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ამ ნაწარმოებს დაერქვა ქალაქური სიმღერა, ხოლო იგივე მუსიკა ილიას ტექსტზე — „ჩემო ტკბილო ქვეყანა“—ქუთაისურ „ქალაქურ“ სიმღერად მოინათლა. ასეთი მაგალითები ბევრია. ასე დამკვიდრდა ევროპული ჰარმონიის გამოყენებით და აზიური მელოდიზმის მათთან სინთეზში თბილისური „ქალაქური სიმღერები“. ამ სინთეზში ბევრმა დილეტანტმაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, პროფესიონალმაც „ქალაქური ყაიდით“ დაიწყო წერა. დიდი ილიას აზრი კი „არც ევროპული და არც აზიური ქართულს რომ არა ჰგავს“ მივიწყებას მისცეს და ასე მივედით იქამდე, რომ ეროვნული ჰარმონია, პოლიფონია, სხვადასხვა კუთხის სიმღერები, საგალობლები თუ საერო სიმღერები ლამის სამუზეუმო „განძეულად“ გვექცა და ამ განძის გამოყენება ჩვენი მუსიკის შემდგომი განვითარებისათვის საკამათო და სადავო გაგვიხდა.

საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ტაძარში, კონსერვატორიაში, სრული ფორმით დამკვიდრდა ევროპული მუსიკის სწავლება, რაც უდავოდ დიდი წინსვლა იყო ქართული მუსიკის პროფესიონალური ტექნიკის შექმნის თვალსაზრისით. აქ ქართული მუსიკის ბედზე ზრუნვა ფოლკლორის კათედრას დაეკისრა, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრი კარგი გააკეთა, მაგრამ ქართული მუსიკის ილიასეული გაგებით განვითარებისათვის, ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ დაამკვიდრეს ჭეშმარიტად წმინდა ქართული მუსიკის შექმნისათვის საჭირო სწავლების პროფესიონალური თვისებები;

და ეს გძელდება წლების განმავლობაში; არადა, თავის დროზე საჭირო იყო, რომ საქართველოს კონსერვატორიაშიც, ისევე როგორც უნივერსიტეტში, მოქმედებს ენის, ლიტერატურის, დამწერლობის კათედრები, შეექმნათ ქართული მუსიკის კათედრა. ქართული მუსიკის კათედრას უნდა უზრუნველეყო ქართული ჰარმონიის, პოლიფონიის, მელოდიკის, კილოდიალექტთა, საგუნდო ხალხური მუსიკის, ისტორიის, ძველი მუსიკის, საგალობლების და ქართული მუსიკალური ფორმების სწორი სწავლება, სწორი სწავლება ფოლკლორისტიკის ყველა ფორმებისა. **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა კომპოზიტორებისათვის წმინდა ქართული მუსიკის წერის გაკვეთილებს, ის** უნდა გამხდარიყო ძირითად თვისებად, მომავალი ეროვნული გზით განვითარებისათვის.

დიდი ილია გვასწავლის: „ქართული მუსიკა იმდენად თვითმყოფადია, თუ კაცმა როგორც ენა მეტყველებასავით არ გაავარჯიშა ყური და გონება, თვით ქართველსაც გაუჭირდება მისი გაგება, ხოლო უცხოელი თუ სპეციალისტი არაა, ვერაფერს გაიგებს“. დიდი ილიას ეს გაფრთხილება დაივიწყეს; თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში დამკვიდრდა და შეიქმნა უამრავი ნაწარმოები ევრო-ორიენტალურ ყაიდაზე, ყოველივე ამას ქართული მუსიკის სახელი დაერქვა. ასეთმა მიდგომამ: „ოღონდ კარგი მუსიკა იყოს და რა მნიშვნელობა აქვს“, ბევრი ქართველი კომპოზიტორი გადაგდო „უცხოეთმანიის“ მორევში. ბევრ მათგანს არამცთუ დაეკარგა ქართული ჰარმონიის, პოლიფონიის, რიტმიკის და მელოდიკის თვისებების გრძნობა, არამედ საკუთარი ქვეყნის არსებობაც კი დაავიწყდა.

ილიას მკვლელობის დროიდან მისი აღდგენის პერიოდამდე და შემდგომაც ევროპული ყაიდის მუსიკას ქართულ ტექსტზე და აზიურსაც ქართულ ტექსტზე ვეძახით ქართულს და ვნილავთ „ქალაქური სიმღერების — რეკლამით“. ვიკვებებით ევროპული და აზიური მუსიკის მოსავლით და ვიძახით „ჩვენი მოწეული მოსავალიაო“. ასეთი რამ მარტო მიმბაძველობა კი არაა, არამედ პლაგიატიზმიცაა.

ქართველი ერი, თავისი ისტორიის საწყისებიდან დღემდე, დიდი ინტერნაციონალისტი ერია, ჩვენთან მუსიკალურ ცხოვრებას ერთდროულად ეწევიან რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ებრაელები და მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ქმნიან თავიანთი ეროვნული თვისებების მატარებელ თბილისურ სიმღერებს. ეს სიმღერები მართლაც თბილისურია, რადგან სხვა ქალაქებში მსგავსი არაფერი გვხვდება, ჩვენ უდიდესი პატივისცემით ვეპყრობით ამ მოძმე ხალხს და მათ მუსიკას, ვიმღეროთ ყველა ერის სიმღერები, მაგრამ რაც ქართული არაა, მას ქართულად ნუ მოვნათლავთ, ნუ მივისაკუთრებთ იმას, რაც ჩვენი არაა, საკუთარი ნუ დაგვავიწყდება.

დიდმა ილიამ მაღალი გონიერებით გვითხრა: „ენის ღალატი ერის ღალატიაო“. ვფიქრობთ, რომ მუსიკალური ენის ღალატი არანაკლები ღალატია. ერი, რომელიც დაკარგავს თავისი მუსიკალური აზროვნების ეროვნულ ფორმებს, ის ერი მეტყველებითი აზროვნების ფორმებშიც ბევრ რამეს დაკარგავს; რადგან, თუ ილიას გავიხსენებთ, როცა ეყრდნობა ლესინგის აზრს, „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია მეტყველი მუსიკა“, დასძენს: „სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შეჭსოვილის პოეზიისა და მუსიკისა“. ამჟამად ვინაა განმკითხავი იმისა, რომ ქართული პოეზიის შედევრები ხშირად ევრო-ამერიკული ან აზიური ყაიდის მუსიკით, მელოდიებით, სიმღერებით გამოაქვთ და პროპაგანდას უწევენ. ქართული ლექსი განა ქართული ჰარმონიის საფუძველზე შექმნილი მუსიკალური ქსოვილების, მელოდიის ან პოლიფონიის ხერხებით არ უნდა იყოს შექმნილი? თანამედროვე და, საერთოდ, კაცობრიობის მიერ განვითარებული საკომპოზიციო თვისებების ტექნიკის ფრთხილი და ჭკვიანური გამოყენებით? ევროპული ან აზიური მელოდიებით ქართული ტექსტის აჟღერება ეროვნულ თვისებას რომ უკარგავს ქართულ პოეზიას, ვერც ამჩნევს ზოგი ჩვენი პოეტი. ოღონდაც მის ლექსზე დაიწეროს რაიმე მუსიკა, და არას დაგიდევს რა ყაიდის იქნება ეს მუსიკა; იმას კი არ ფიქრობს, რომ ეს სხვათა მუსიკალური აზროვნების, მელოდიური თვისებების შეუსაბამობაა ეროვნული პოეზიის მიმართ. ეს ხომ თვით ეროვნული პოეზიის ღალატია, რადგან ასეთი პოეზია უცხოური სიმღერის მახვილებს, რითმომეტრიულ თვისებებს ლებულობს და კარგავს ეროვნულ სიწმინდეს. ეროვნული სიწმინდის უგულებელყოფაა საკუთარის უარყოფა და უცხოურის უმეცრებით განდიდება. ეს ეროვნულის გადაგდებას, უცხოურით შეცვლას ნიშნავს. ყოველივე ეს კი დიდ ზიანს აყენებს ერის სულიერ კულტურას, განსაკუთრებით, ენობრივ აზროვნებასა და მუსიკალურ აზროვნებას.

როგორ ესმოდა დიდ ილიას თვით სიმღერა? „ჭკუათა ძმაო, ქვეყნიერებაში სიმღერა არ არის; ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვით ღვთის კერძისა. ეგ ღვთაებრივი ნიჭი ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა; არ არის ცის ქვეშეთს იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს...“ „სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის როცა გულს მწუხარება კუმშავს და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწევა“. ილიას ჩინებულად ესმის ის, რომ მეტყველებით აზროვნებას როცა ძალა გამოელევა, მას ეხმარება მუსიკალური აზროვნება თავისი ბუნებრივი თვისებებით, დიდი ემოციებით. გასაოცარი შინაგანი ლოგიკის სიძლიერით ხსნის ილია იმას, რომ: „ჩვენა ვსთქვით, რომ სიმღერა გულის თქმაა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არ ჰგავს. ამის გამო ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს, **მუსიკა იგივე ენაა მხოლოდ ხორცშესხმული...“** ილიას ამ სიტყვებში ჩანს ის, რომ ქართველმა ერმა, მისმა მაღალი გონიერების უდიდესმა მოღვაწეებმა, ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს ეროვნული მუსიკალური ენა და აზროვნება, როგორც ლექსიკა და დამწერლობა, დაამკვიდრეს საქართველოში. ამის ჭეშმარიტი დადასტურებაა: დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს გალობათა სხვადასხვა სისტემა ქართული ჰარმონიის საფუძველზე და თვითონ ხალხური სიმღერები.

რაოდენ ძლიერი სული და გონება უნდა ჰქონოდა ილიას იმდროინდელ საქართველოში, რომ რუსეთის ცარიზმის, ევროპული და აზიური პოლიტიკანების ბრძოლის ქარცეცხლში, ქვეყნისა და ერისთვის გაეცხადებინა: „ქართული მუსიკა ევროპულს არა ჰგავს და აზიურთან საერთო არაფერი აქვსო“. მით უმეტეს, როცა ილიას ეპოქის თბილისი ფაქტიურად ალებული ჰქონდა ერთის მხრივ აზიურ სიმღერებს, ხოლო მეორე მხრივ ევროპულ სიმღერებს და მათ მიმბაძველებს. სამწუხაროდ, ეს ავადმყოფობა ახლაც მოქმედებს.

დიდი ილია კარგად ჭვრეტდა იმას, რომ ქართველი ერის მუსიკალური აზროვნების ძალა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიმღერა-საგალობლებში იმალებოდა: ილია იმასაც კარგად ხედავდა, რომ „უცხოეთომანია“ ვერაფერს სიკეთეს ვერ მისცემდა ქართველი ერის თვითმყობადობას. მისი აზრი ბუნებრივია ის იყო, რომ ქართული მუსიკა, ისევე როგორც ლიტერატურა ეროვნულ სიმაღლეზე დამდგარიყო, საქართველოს შემდგომმა მუსიკალურმა ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ წმინდა ქართული მუსიკისათვის ბრძოლა აუცილებელია და დღესაც არანაკლებად საჭიროა.

ამჟამად ქართულ მუსიკაში გაცილებით დიდი ნეგატიური მოვლენებია ვიდრე სხვა სფეროებში, მაგრამ ეს მოვლენები ინიღბება „თანამედროვეობაზე“ ქადაგების სხვადასხვა ცრუ ფორმებით. დღეისათვის ჭეშმარიტებაა ის, რომ ყველა უცხოელი მუსიკის სპეციალისტი, როცა ისმენს ჩვენი ერის ხალხურ სიმღერებს, ძველ საგუნდო საგალობლებს აღფრთოვანებაში მოდის, საკმარისია თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის აღფრთოვანებული განცხადება ხალხური სიმღერებისა და საგალობლების მოსმენის შემდეგ: „თუ კიდევ რამე საოცრება არსებობდა მუსიკაში ვერ წარმოვიდგენდით“. ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ თანამედროვე პროფესიონალურ ქართულ მუსიკაზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებშიც დაბუდებულია ეროვნულის დამხშობი ევროპული, ამერიკული თუ აზიური გავლენები, რაზედაც გვაფრთხილებდა და დღესაც გვაფრთხილებს დიდი ილია: „ევროპული და აზიური ყაიდის მუსიკა ქართული არ არისო“.

თანამედროვეობა, ან მოდერნიზმი ეროვნული თვისებებით, რომ განხორციელდეს ის უდიდესი მოღწევა იქნებოდა ქართული მუსიკისათვის, ამ საქმეში წინსვლა არის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დღევანდელი თანამედროვე მუსიკის უმეტესობა უცხოური მუზიცირებისა და სხვადასხვა საკომპოზიციო სკოლების მიბაძვაა. ეროვნულ საფუძველზე რომ იყოს ეს მიბაძვა, რა გვიჭირდა.

ზოგი ჩვენი „მუსიკოსისაგან“ გაიგონებთ, რომ „ქართველი კაცის მუსიკალურ ნაწარმოებში მთავარია ქართული სული იყოსო“. აქ გამორიცხულია ქართული ჰარმონია, პოლიფონია, ან დიალექტთა თვისებები; თურმე მთავარია „სული“. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ ქართული პოეზია, ქართული ლექსიკის, გრამატიკის და დამწერლობის გარეშე მარტო „სულით“. განა იგივე არ ხდება მუსიკაში? ქართული ჰარმონიის, პოლიფონიის, ეროვნული მელოდიური — რითმული თვისებების გარეშე როგორ უნდა დაიწეროს ქართული მუსიკა? მარტო „სული“, უცხოური საკომპოზიციო ხერხებით, ეროვნული თვისებების გარეშე, მით უმეტეს კოსმოგენიზმი ნებისმიერი „სულით“ ვერაფერს ეროვნულს ვერ მოგვცემს.

დიდი ილია წერდა ცნობილ სტატიაში „რა მიზეზია რომ კრიტიკა არა გვაქვს?“ ქართველი „ინტელიგენციის“ უმეტესობამ იმ დროს შესანიშნავად იცოდა ევროპის მწერლები და პოეტები, ეს საამაყო საქმე იყო, მაგრამ, რომ ეთხოვათ რაიმე კრიტიკული წერილის დაწერა ხალხურ ლექსზე ან ზღაპარზე ხელსაც ვერ გაანძრევდნენ. ევროპული ადვილი გახლდათ, რადგან იქ მზამზარეულად იყო კრიტიკული მოსაზრებები, ხოლო ეროვნული ლიტერატურული ნაწარმოებისათვის გონება უნდა გაეხარჯათ. დღეს იგივე ხომ არ ხდება ქართულ მუსიკაში? ჩანს, სხვათა მიბაძვა იოლია, ხოლო ეროვნულ ნიადაგზე ახალის თქმა ძნელია!

ნათქვამია, „კარგს“ მიბაძავ, „კარგს მიიღებო“, მაგრამ საკითხავია მიმბაძველობა მოგვცემს ორიგინალურს ან წმინდა ეროვნულს? საჭირო კია მივბაძოთ სხვას თუ ჩვენ ჩვენი არანაკლები გვაქვს? ჭირდება ქართულ ლიტერატურას მიბაძოს ვინმეს და თავის გზაზე არ იაროს? ეს არც ქართულ მუსიკას სჭირდება, რამეთუ როგორც დიდი ილია ამბობდა — „ქართული მუსიკა თვითნაჩენია როგორც ენა-მეტყველება“ და ჩვენის აზრით საჭიროა ყოველგვარი ევროამერიკანიზმის და აზიატიზმის გარეშე თავის გზაზე უმშვენიერეს სიმაღლეს აჩვენებდეს მსოფლიო კულტურას.

თუ რომელიმე ახალ მუსიკალურ ფორმას, მიმდინარეობას შემოვიტანთ, ის უნდა დამკვიდრდეს ეროვნული მუსიკალური აზროვნების საშუალებებით, როგორც ოპერა და სიმფონია დამკვიდრდა ეროვნული თვისებებით ზაქარია ფალიაშვილის და შალვა მშველიძის შემოქმედებაში; როგორც ეროვნული თვისებები დამკვიდრდა რეზო ლაღიძის ზოგიერთ თანამედროვე სიმღერებში, სადაც აშკარაა ქართული ჰარმონიის პოლიფონიური თვისებების, ძველისა და თანამედროვე თვისებების, ეროვნული, მელოდიურ-რითმული ძარღვის ოსტატური გამოყენება.

რაც შეეხება ქართულ ესტრადას, ჩვენს შემოქმედებს მართებდათ მოენახათ მრავალფეროვან ქართულ მუსიკაში ეროვნული თვისებები, რითაც უფრო მდიდარი გახდებოდა ქართული ესტრადა, არადა ამჟამად დღე და ღამე გვესმის დაბალი დონის ესტრადა, გვესმის რადიოთი, ტელევიზიით, იწერება და იყიდება უამრავი მდარე ხარისხის ესტრადა და ეფინება სრულიად საქართველოს, სმენა და გონება უმახინჯდება ჩვენს ახალგაზრდობას, ერთგვარი სიძულვილიც კი უჩნდება ქართული ხალხური სიმღერების ჩვენი მამა-პაპათა სულიერი საგანძურის მიმართ, აქ უპრიანია დიდი პუშკინის გენიალური გამოთქმა: „წარსულის პატივისცემა, აი რაანსხვავებს განათლებულს ველურისაგან“...

**სერგო ჟვანია,**
**კომპოზიტორი.**

**(დასასრული იქნება)**

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მერაბ კოსტავას ფონდში.

**ახლახან ჩვენი გაზეთის სტუმარი იყო საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაია. საუბარი საქართველოს აწმყოსა და მომავალს და, ამ უმთავრესიდან გამომდინარე — რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიისა და პირადად მისი თავმჯდომარის მიზნებსა და სურვილებს შეეხებოდა.**

**— ბატონო ირაკლი, თქვენმა პარტიამ თავისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე რამდენჯერმე შეიცვალა სახელი, რას ემსახურებოდა ეს — თქვენი იდეებისა და მიზნებისათვის უფრო ზუსტი სახელის დარქმევას, თუ...**

— სახელის შეცვლა პირველ რიგში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და პარტიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზე იყო დამოკიდებული. ამჟამად ეს წინააღმდეგობები დაძლეულია და პარტიის დღევანდელი სახელწოდება — რესპუბლიკურ-ფედერალური — ზუსტად გამოხატავს ჩვენს მიზნებსა და შეხედულებებს — მრწამსით ჩვენ რესპუბლიკელები (ნეორესპუბლიკელები) ვართ, ქვეყნის მოწყობა კი ფედერალურ პრინციპებზე გვსურს.

იმათ გასაგონად კი, ვინც თითზე იხვევს ჩვენი პარტიის სახელის ხშირ ცვლილებას, ხაზგასმით ვამბობ: სახელის შეცვლა პოზიციის შეცვლას არ ნიშნავს! მარტო სახელის შეცვლა-არშეცვლა რომ იყოს საქმე... კომუნისტურმა პარტიამ დღემდე უცვლელი სახელით იარა და რა „სიკეთეც“ მოგვიტანა, ყველა კარგად ვხედავთ...

**— თქვენ არაერთხელ განგიმარტავთ ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს ფედერალურ პრინციპზე მოწყობის არსი. მაგრამ ბევრი კვლავ შეშფოთებით კითხულობს, კუთხური სეპარატიზმისაკენ ხომ არ მივყავართ ირაკლი შენგელაიას პარტიასო... მავანი კი იმასაც ამბობს, ფედერალისტების** [illegible]

განხორციელებული საშტატო ფედერალური თვითმმართველობა და თავისუფლება ამ სიტყვის სრული და საუკეთესო მნიშვნელობით.

**— „ჩვენი მიზანია — ერთიანობა თავისუფლებაში“ — აცხადებთ თქვენ, მაგრამ საქართველოში დღეს რამდენი ქართველიცაა, ლამის იმდენი აზრი არსებობს ერთიანობაზეც და თავისუფლებაზეც. თქვენი „ერთიანობა — თავისუფლებაში“ რას გვპირდება?**

— სწორედ ამას — ერთიანობას თავისუფლებაში. ფაქტობრივად ფედერალური თვითმმართველობა თავისუფლებას ნიშნავს და ჩვენი ერთიანობა, ამ თავისუფლებიდან გამომდინარე, თავისუფალი ერთიანობა უნდა იყოს და არა — რეპრესიული.

საბჭოთა წყობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პიროვნება წაშლილიყო, ყველა ერთმანეთს დამსგავსებოდა და ადამიანი ფაქტობრივად სოციალურ დანამატად ქცეულიყო. როცა პიროვნება სოციალურ დანამატად იქცევა, იშლება მისი ფუნქციაც. დღეს რატომაა, რომ, ვთქვათ, ბევრისთვის სულ ერთია, თუ სად ისწავლის და როგორ დაამთავრებს, ოღონდ დიპლომი აიღოს. ეს იმიტომ ხდება, რომ პიროვნება ნიველირებულია.

ჩვენ გვინდა, ადამიანი კვლავ პიროვნებად ვაქციოთ, საკუთარი ფუნქცია აღვუდგინოთ, რათა მან საკუთარი პიროვნული ფუნქციით იბრძოლოს დამოუკიდებელი საქართველოსთვის.

[illegible]

მთლიანად პოლიტიკისადმი დამოკიდებულება.

ჩვენ საქართველოს და ერთმანეთს ვიხსნით, თუ კი, ისევ ვიმეორებ — ყოველ ადამიანს და პირველ რიგში ერთმანეთს მივანიჭებთ თავისუფლებას!

**— მაგრამ თავისუფლების ძიებას ზოგჯერ ნგრევამდეც მივყავართ...**

[illegible]

ვართ, მაგრამ ისიც გვესმის, რომ საბჭოური სისტემის რაიმე გარდაქმნაზეც კი ზედმეტია ლაპარაკი. ამდენად ჩვენ გვინდა მოვახდინოთ იმის აღდგენა, რესტავრაცია, რაც სხვამ, კონკრეტულად კი საბჭოურმა სისტემამ დაანგრია საქართველოში. კერძოდ, გვინდა აღდგეს: 1. პოლიტიკური პლურალიზმი; 2.

[illegible]

**ნაარსებობაში?**

— პირველ რიგში მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ის, რაზეც დღეს მიდის საუბარი, ჯერ მხოლოდ კულტურული და ეკოლოგიური სფეროებია, პირველი ეტაპია, რომელსაც მოჰყვება მეორე და ბევრად რთული ეტაპი — პოლიტიკური. ის ყველაზე რთულია იმიტომაც, რომ

# ირაკლი შენგელაია:



# „ჩვენი მიზანია — ერთიანობა თავისუფლებაში“

## მოკლე ცნობები

**პარტიის ისტორიიდან:**

1988 წლის 26 ივლისს ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი.

1989 წლის 1-2 აპრილს კავშირში გამოიკვეთა რესპუბლიკანიზმის იდეები. თუმცა ასევე ჩამოყალიბდა ლიბერალური პოზიციებიც.

1989 წლის 26 ივნისს საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირს გამოეყო ჯგუფი, რომელმაც თავი საქართველოს სამართალ-რადიკალურ პარტიად გამოაცხადა.

1989 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი და საქართველოს სამართალ-რადიკალური პარტია გამთლიანდა ერთ სტრუქტურაში — საქართველოს ეროვნული სამართლიანობის პარტიაში.

1990 წლის 15 იანვარს ეროვნული სამართლიანობის პარტიას გადაერქვა სახელი და ის საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურ პარტიად გამოცხადდა.

**თავმჯდომარის ბიოგრაფიიდან:**

**ირაკლი შენგელაია დაიბადა 1947 წელს თბილისში.**

**1971 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ხუთი წელი იმუშავა ინჟინრად.**

**1976-დან 1979 წლამდე დუშეთის რაიონის სოფლებში მათემატიკას, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.**

**1979-დან 1989 წლამდე იყო ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი. 1990 წლის 15 იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარეა.**

**ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი — 8 წლის თამარი.**

**თქვენ კი მტკიცედ აცხადებთ, ყოველგვარი ნგრევის წინააღმდეგნი ვართ, ის უფუნქციოდ აქცევს დამანგრეველსო. ხომ არ ნიშნავს თქვენი განცხადება გარკვეულწილად იმასაც, რომ ქართველები დღეს ისე ვაპირებთ ბევრი რამის დანგრევას, რომ ხანაცვლო მოფიქრებული არა გვაქვს?**

— კატეგორიულად ვუსვამ ხაზს — ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ნებისმიერი ნგრევისა და ამდენად ნებისმიერი რევოლუციისაც. რადგან ღრმად გვწამს, რომ რევოლუცია თავადაა ნგრევა, ის წყვეტს, ანგრევს ისტორიის კანონზომიერ განვითარებას.

ჩვენ ნგრევის წინააღმდეგნი

[illegible]

თავისუფალი ეკონომიკა; 3. ტრადიცული ღირებულებანი; 4. რელიგიური და ეთნიური შემწყნარებლობა, 5. ქართველი ერის ადგილი საერთო კავკასიურ და მსოფლიო თანაარსებობაში.

**— საერთო კავკასიურ თანაარსებობაზე დღეს ძალზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ, მათ შორის — თქვენი პარტიაც. საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ კი ნამდვილად დიდ საქმეს გაუხსნა გზა — ახლახან თბილისში ჩატარებულ შეხვედრა-სემინარს „კავკასია“ — ჩვენი საერთო სახლი“ ვგულისხმობ. როგორია, პირადად თქვენი შეხედულებით, საქართველოს ადგილი ამ საერთო კავკასიურ თა-**

[illegible]

კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური თანაარსებობა თავის თავში ერთდროულად რელიგიურ და ეთნიურ თანაარსებობასაც მოიცავს. და ამდენად ის, თუ როგორი იქნება ეს თანაარსებობა, ყველა ამ ეტაპის გათვალისწინებით, საერთო კავკასიურ სახლში, ხვალ გამოჩნდება.

რაც შეეხება საქართველოს ადგილსა და როლს ამ თანაარსებობაში, აღსანიშნავია შემდეგი: სურს ეს ვინმეს თუ არა, კავკასიაში საქართველოა ის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს ზღვაზე გასასვლელი და ამდენად ის ისტორიულად იყო და რჩება კულტურულ და პოლიტიკურ ხიდად ევროპასა და კავკასიას შორის. ისტორიის ჩარხის უკუ[illegible] დატრიალებამ და რუსეთის [illegible]ნციად გადაქცევამ საქართველო[illegible] ფუნქცია დროებით წაართვ[illegible] თუმცა საკუთრივ კავკასიაში [illegible]ლი ყოველთვის საქართველო[illegible].

თუ საქართ[illegible] აღიდგინა დაკარგული ფ[illegible]ციები (კულტურული, სავაჭრ[illegible]ონომიკური და აქედან გამომ[illegible]რე, ყველაზე მთავარი — პ[illegible]ტიკური), მაშინ მას უდიდეს[illegible]ოლი და ადგილი ექნება საერთ[illegible] კავკასიურ თანაარსებობაში [illegible] მჯერა, რომ ასეც მოხდება!

**— თუ სა[illegible] კავკასიური სახლი რეალობ[illegible]ქცა, მაშინ ამ სახლში, იდეა[illegible] ვარიანტით, ჩვენი ძმები დ[illegible]გობრები იქნებიან ისინი, ვის [illegible]ც საქართველო ამ ბოლო ხანებ[illegible]რაიმე ეთნოკონფლიქტის [illegible] გახდა (აფხაზეთი, ე. წ. სამხრ[illegible]სეთი, ქვემო ქართლი, ე. წ. „[illegible]ქი მესხები“...)**

— მოდი[illegible]ერჯერობით თავი დავანებოთ [illegible]სა და მეგობრობაზე ლაპარ[illegible] ეს ახლა ძალზე მწარედ ხვდ[illegible] ყურს, ისეთი დღე გვადგას (თ[illegible] არც მოპირდაპირე მხარეს [illegible]ა ადგეს უკეთესი დღე) და [illegible]აფერი გავაკეთოთ იმისა[illegible] თანავ[illegible] საერთო [illegible] მიზანიც [illegible]რის — საერთო მშვიდობა, [illegible]ო უსაფრთხოება, საერთო ზრ[illegible] ეკოლოგიაზე, კულტურაზე [illegible]. შ...

რაც შეეხ[illegible]. წ. „თურქი მესხების“ საკ[illegible] იგი საბოლოოდ მანამ არ გა[illegible]დება, სანამ საქართველო და[illegible]კიდებელი არ გახდება, სანამ [illegible] თავად, ყოველგვარი ცენტ[illegible] კომისიების ჩარევის გარეშე, [illegible] გავარკვევთ, ვინ არის თურქ[illegible] კიდევ მესხი (რადგან „თურ[illegible] მესხი“ ბუნებაში არ არსებობ[illegible]ა შემდეგ ყველა თურქს, ვის[illegible]შობლო მონატრა, ყველან[illegible] არ შევუწყობთ ხელს თავის [illegible]ობლოში ე. ი. თურქეთში გ[illegible]ავრებლად... მოკლედ, სიმარ[illegible] თვალი უნდა გავუსწოროთ [illegible]ეალური ვითარებიდან გამომ[illegible]არე ვეძებოთ გამოსავალი.

**— რაც შე[illegible]ბა გამოსავალს, ახლახან პ[illegible]ი გამოსვლისას თქვენ განა[illegible]ეთ, რომ ერთადერთი ქ[illegible] რამაც უნდა განსაზღვრ[illegible]ული ერის და საქართველ[illegible] მცხოვრები სხვა ხალხების ქმ[illegible]რის რეალური ვითარების შ[illegible]ბა და აქედან გამოსავლის [illegible]ნა. ისმის კითხვა: ჯერ ერთი, [illegible] ყველა გამოსავალია მისაღ[illegible] და მეორე, თქვენ თავად [illegible] შეპოვნი დღეს საქართველ[illegible] შექმნილი მდგომარეობიდან [illegible]ავალი?**

— რა თ[illegible]ნდა, გვაქვს. ჩვენთვის გამოს[illegible] ერთია — საქართველოში [illegible]შეიქმნას თვითმმართველობის [illegible]ანონმდებლო ინსტანცია. გა[illegible] რას ვგულისხმობთ: საე[illegible]ორისო სამართლის პრინციპიდ[illegible]გამომდინარე (განვმარტავ, იმ[illegible] რომ საერთაშორისო სამართა[illegible] არის არა ფაქტი, როგორც ე[illegible]ლახან გაისმა, არამედ ნორმა[illegible]ლის მიხედვითაც გვარდება [illegible]ერთობა სახელმწიფოებს შ[illegible]), არსებობს სუვერენიტეტის [illegible] ფორმა (სუვერენიტეტში დ[illegible]კიდებლობას ვგულისხმობ. ა[illegible]ებობს გაფართოებული, შევ[illegible]ვებული და სხვა ამგვარ[illegible] — ეს მხოლოდ საბჭ[illegible] აზროვნების შედეგია) — [illegible]ული სუვერენიტეტი და ს[illegible]მწიფოებრივი სუვერენიტეტ[illegible]რად ხდება, რომ ვიდრე ერი [illegible]ევს სახელმწიფოებრივ სუვ[illegible]ტეტს, ის ქმნის გარკვეულ არ[illegible] ორგანოს, რომელიც ეროვნ[illegible] სუვერენიტეტის გამომხატვე[illegible]დება. ასეა დღეს საქართველ[illegible] მაშ, ვინ უნდა იყოს ჩვენ[illegible] ეროვნული სუვერენიტეტ[illegible]გამომხატველი? საერთაშორის[illegible]მართლებრივი ნორმებიდან გ[illegible]ინარე, ეროვნული სუვერე[illegible]ის გამომხატველი ჩვენს პირო[illegible] უნდა იყოს უზენაესი საბჭ[illegible]რომელსაც ოქტომბერში ავი[illegible] სამართალმემკვიდრეობის პ[illegible]პებიდან გამომდინარე, მხოლ[illegible]ას შეუძლია ეროვნული ს[illegible]იტეტის გამოხატვა.

ეს უზენა[illegible] საბჭო ამასთან იქნება თვით[illegible]ველობითი. რატომ? იმიტ[illegible] რომ ოქტომბრის არჩევის უ[illegible] საბჭოს ნიშნავს ახლანდელ[illegible] უზენაესი საბჭო, რ[illegible]ალია, საქართველოს [illegible]ვოლუციური კომიტეტის შემ[illegible], მაგრამ სწორედ მან, რ[illegible] მემკვიდრემ, გააუქმა ამ რ[illegible]უციური კომიტეტის მიერ მ[illegible]ლი ყველა აქტი, არასამართ[illegible]ად სცნო ისინი. მაშასადამე, [illegible]დელმა უზენაესმა საბჭომ [illegible]ტობრივად თავისი უფლებამოსილება ჩააბარა. აი, ამას ჰქვია სამართალმემკვიდრეობის პრინციპის დაცვა.

და თუ ჩვენ, ქართველებს, არ გვინდა სამართალმემკვიდრეობის პრინციპით არსებულმა და უფლებამოსილმა უმაღლესმა საბჭომ განახორციელოს ჩვენი ეროვნული სუვერენიტეტი, მაშინ უნდა მოხდეს ამ სამართალმემკვიდრეობის პრინციპის რევოლუციური წყვეტა (რისი კატეგორიული წინააღმდეგიცაა ჩვენი პარტია) და მხოლოდ ამ რევოლუციური წყვეტის შემდეგ შეიძლება იმ ახალი ორგანოს არჩევა, რომელიც ეროვნული სუვერენიტეტის გამომხატველი გახდება.

და იმათი განცხადება, ვინც ხაზს უსვამს, რომ ყოველგვარი ოფიციალური (მათ შორის ოფიციალური უმაღლესი საბჭოც) და საბჭოური ერთი და იგივეაო, რბილად რომ ვთქვათ, დემაგოგიაა.. ოფიციალურობა სამართალმემკვიდრეობის პრინციპიდან მომდინარეობს, საბჭოურობა კი... საბჭოურობის პრინციპი ჩვენში ფაქტობრივად გაუქმებულია მას შემდეგ, რაც უმაღლესმა საბჭომ არასამართლებრივად სცნო რევკომის მიერ მიღებული აქტები. საბჭოური პრინციპების გაუქმება, ცხადია, არ ნიშნავს საბჭოური სტრუქტურების გაუქმებას, ეს სტრუქტურები ჩვენ, იმ თვითმმართველობის უზენაესმა საბჭომ უნდა გააუქმოს, რომელიც ჩვენის ღრმა რწმენით, არჩეულ იქნება და რომელსაც დაეკისრება ეროვნული სუვერენიტეტის გამოხატვა.

**— თქვენი პარტია ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევრული აღმოჩნდა არჩევნებისადმი დამოკიდებულებაში, პირადად თქვენ კი მტკიცედ იცავთ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციების თანაარსებობის იდეას (ოღონდ, თუ ადრე არასაპარლამენტო ოპოზიციაში იყავით, ახლა საპარლამენტო ოპოზიციაში ამჯობინებთ ყოფნას), რაზეც ერთხელ კარგად შენიშნეთ — ისინი ერთმანეთის კომპასი უნდა იყოსო. ჩანს, ძველებურად გჯერათ ამ კომპასის ამოქმედებისა...**

— რასაკვირველია. ამჟამად ყველას აქვს უფლება, თვითონ განსაზღვროს საპარლამენტო ოპოზიციაში უნდა იყოს, თუ არასაპარლამენტოში. პირადად მე მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე საპარლამენტო ოპოზიციაში უნდა მივიღო მონაწილეობა და მივიღებ კიდეც მიუხედავად იმისა, თუ ვინ რა აზრისა იქნება ამის შესახებ.

ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია არაოფიციალური პარლამენტი. ცხადია, უნდა არსებობდეს ეროვნული მოძრაობის მაკოორდინირებელი საბჭო, მაგრამ მას არავითარი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს: არა მხოლოდ ხელისუფლებაზე (როგორც ახლა აცხადებენ), არამედ იმაზეც, რომ იგი ხალხის ნების ერთადერთი გამომხატველია. ხალხის ნების გამომხატველი ერთადერთი ძალა შეიძლება იყოს ინსტანცია, რომელსაც უფლება აქვს და შეუძლია საერთაშორისო სამართლის ნორმებით იმოქმედოს ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეს კი შეუძლია ერთადერთს — არჩევით ორგანოს! სხვას არავის! ეროვნული სუვერენიტეტის ცნება ამას მოიცავს. ამ აზრზე ვდგავართ და მზად ვართ მტკიცედ დავიცვათ ჩვენი პოზიცია, ჩვენი იდეები (ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით დავუმატებ: შეიქმნა საარჩევნო ბლოკი — „ოთხთა კავშირი“. მასში შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, საქართველოს მწვანეთა პარტია, ლიბერალ-დემოკრატიული ეროვნული პარტია და ორგანიზაცია — დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ბლოკი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას საერთო სიით და პროგრამით. „ოთხთა კავშირის“ შექმნა კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რა მნიშვნელოვანია მრავალპარტიული არჩევნები თვითმმართველობის უზენაეს საბჭოში).

**— ალბათ, ნებისმიერი აზრის, იდეის გამტარებელს აინტერესებს მისი იდეის გამზიარებელთა და თანამგრძნობთა რაოდენობა...**

— რა თქმა უნდა, ეს მეც ძალიან მაინტერესებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან არ არსებობს რეიტინგის ის სისტემა, რომელიც სწორ ინფორმაციას მოგვცემს. და თუ ის განხორციელდა, უკეთესი რაღა იქნება, ყველა ცხადლივ დაინახავს, ვის იდეებს და რამდენად უჭერს მხარს ხალხი...

ისე კი, ბუნებით ოპტიმისტი ვარ, მომავლის ძალიან მჯერა და ამ მომავალში ჩვენი იდეების გამარჯვებისაც, რომელთა აღსრულება თავისუფლებას მოგვიტანს.

**— ალბათ, ასეთი ოპტიმისტური ნოტის შემდეგ ცოტა უხერხულია ამ კითხვის დასმა, მაგრამ... ახლა საქართველოში დღე ერთია და ხანდახან რამდენიმე პარტია და ორგანიზაცია იქმნება. დროის (და არა მარტო მის) გამოცდას კი, ცხადია, ერთეულები გაუძლებენ. როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა მათ შორის რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია?**

— ვერაფერს გეტყვით, იქნება თუ არა მათ შორის რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია. ეს მართლაც დრომ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად რეალურია ასეთი პარტიის არსებობა. არაა გამორიცხული, რომ ის დაიშალოს, ან სხვა პარტიას შეუერთდეს (აქ არაა ლაპარაკი ჩვენი იდეების ცვალებადობაზე — ისინი უცვლელი დარჩება) — ეს პროცესი ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოში. რადგან მრავალპარტიულობა, რომლის დამკვიდრებასაც ვცდილობთ დღეს, ჯერ შორსაა ევროპის ქვეყნების მრავალპარტიულობისაგან, სადაც სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული რეგლამენტირებული პოლიტიკური სტრუქტურები მოქმედებენ. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ, ეს პროცესი საქართველოში კარგა ხანს გასტანს, მანამ, სანამ, საქართველო დამოუკიდებელი არ გახდება.

თუმცა, ერთი სერიოზული გამოცდა კი ყველას სულ აგერ, უახლოეს მომავალში გვექნება ჩასაბარებელი — ცხადია, მოახლოებულ არჩევნებს ვგულისხმობ. სწორედ მაშინ გამოჩნდება, ვინ რა გზით აპირებს საქართველოს გათავისუფლებას, ვის კონსტიტუციური გზით სურს სიარული და ვის არაკონსტიტუციურით (კონსტიტუციაზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და არა რომელიმე კონკრეტული და მითუმეტეს — საბჭოთა კონსტიტუცია). კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს — არაკონსტიტუციური გზა ნიშნავს არასაპარლამენტო გზას, კონსტიტუციური გზა — საპარლამენტოს! ერმა უნდა გადაწყვიტოს, ამ ორი გზიდან რომელია მისთვის მისაღები. და ვინც არ ისურვებს ერის მიერ არჩეულ გზაზე დგომას, მან კეთილი უნდა ინებოს, ქუდი დაიხუროს და პოლიტიკური არენიდან გავიდეს... ჩემის ღრმა რწმენით, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია ყოველთვის იმ ოპტიმალურ გზას აირჩევს, რომელიც საქართველოს ჭეშმარიტ თავისუფლებამდე მიიყვანს. ეს მისი უპირველესი მიზანი და მოვალეობაა.

**— და ბოლოს, ბატონო ირაკლი, ახლახან საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობაზე გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს მომავალსა და თავისუფლებაზე ზრუნვა უპირველესად უნდა დაეკისროთ ბატონებს: ზვიად გამსახურდიას, აკაკი ბაქრაძეს, ნოდარ ნათაძეს და თქვენ. როგორ უყურებთ ამ განცხადებას პირადად თქვენთან დამოკიდებულებაში, თვლით თუ არა თავს უფლებამოსილად და ხართ თუ არა მზად ასეთი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად?**

— ილია ჭავჭავაძეს აქვს ჩემთვის კანონად ქცეული გამოთქმა: დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებაზე მეტად დაუმსახურებელი ქება გეწყინოს კაცსო. მსურს განვაცხადო, რომ უფლებამოსილად ნამდვილად ვერ ჩავთვლი თავს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა იაროს საქართველომ დამოუკიდებლობისაკენ, ამის შესახებ გამაჩნია ჩამოყალიბებული აზრი, რომელსაც ხმამაღლა და დაურიდებლად ვაცხადებ — მომხრე ვარ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობილი კონსტიტუციური გზისა, მომხრე ვარ, ოქტომბერში ავირჩიოთ თვითმმართველობის უზენაესი საბჭო, რომელიც, ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელების გზით, სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტამდე მიგვიყვანს!

რაც შეეხება იმას, ვარ თუ არა მზად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად, ცხადია, პასუხისმგებლობას კაცი არასოდეს უნდა გაექცეს (თუმცა ნებისმიერმა, ვინც ერის დამოუკიდებლობის იდეით გამოდის და იცავს ამ იდეას, წინ უნდა გაიხედოს და კარგად გაიაზროს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მის ნათქვამს ყოველ სიტყვას), მაგრამ ასე შევთანხმდეთ, საერთო პასუხისმგებლობა ერის წინაშე დავაკისროთ ოქტომბერში არჩეულ უზენაეს საბჭოს. იმედი მაქვს, რომ ვიქნები საბჭოს ერთ-ერთი წევრი და ამდენად გარკვეულწილად პასუხისმგებელიც მის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.

ესაუბრა
**რუსუდან ლებანიძე**
**1990 წლის 2 ივლისი**
**იური მეჩითოვის ფოტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის შეხვედრები

3 და 6 ივლისს გაიმართა მრგვალი მაგიდის XVIII და XIX შეხვედრები. პირველ შეხვედრაზე გადაწყდა: მრგვალმა მაგიდამ „დასის“ მიერ შემუშავებულ საარჩევნო კანონ-პროექტში შეიტანოს შემდეგი წინადადებები: არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს იმ პირებს, რომელთაც აქვთ საქართველოში ბინადრობის ცენზი: 10 წელი — დეპუტატობის კანდიდატებისათვის, 5 წელი — ამომრჩევლებისათვის; დეპუტატობის კანდიდატებისათვის აუცილებელია ქართული ენის ცოდნა, საარჩევნო ბიულეტენები უნდა დაიბეჭდოს ქართულ და აფხაზურ ენებზე; საბჭოთა არმიის მოსამსახურეებს არ მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება; იმისათვის, რომ რეგისტრირებულ პარტიას საარჩევნო კომისიაში თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს, პარტიამ უნდა წარმოადგინოს 10 000 მხარდამჭერის ხელმოწერა; არჩევნებზე მოწვეულ იქნან საერთაშორისო მეთვალყურეები.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ბატონ ზვიად გამსახურდიას წინადადებას — მიმართონ ხელისუფლებას მთელი რიგი პრობლემების სასწრაფოდ გადაჭრის მოთხოვნით. განიხილეს რა საკოორდინაციო ცენტრთან შეხვედრის შედეგები, აღინიშნა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში პოზიციათა დიამეტრალური განსხვავების გამო მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა მხოლოდ ურთიერთობის ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის თაობაზე. შემდეგი შეხვედრა შედგება მხოლოდ ამ მიზნით. განიხილეს თბილისის აეროპორტში დეპუტატის ოთახის გაუქმებასთან დაკავშირებით შექმნილი დაძაბული ვითარება. გადაწყდა, რომ თბილისის აეროპორტში, თანამშრომელთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, დეპუტატის ოთახის გაუქმებით აეროფლოტის ზოგიერთ თანამშრომელთან და გარეშე პირებთან კონფრონტაციისა და შექმნილი დაძაბული სიტუაციის თაობაზე გამოქვეყნდეს მრგვალი მაგიდის განცხადება. მოისმინეს ბატონ მერაბ ურიდიას განცხადება საკონსტიტუციო კომისიის სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მრგვალი მაგიდის მიერ საარჩევნო კანონ-პროექტში შესატანი წინადადებების მიღების თაობაზე.

● საქართველოში ამ ბოლო დროს გავრცელებული ტერორისტული აქციების, დარბევისა და დაშინების (დაემუქრნენ მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური გამოკვლევის ცენტრს) და სხვა მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად სუკ-ის მო[illegible]შაობის შესასწავლად, გადაწყდა შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია ინტელიგენციის მონაწილეობით, მოეწყოს აქციები სუკ-ის შენობის წინ და გამოქვეყნდეს მრგვალი მაგიდის განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოისმინეს ახლახან შექმნილი საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის დამფუძნებელი საინფორმაციო ჯგუფის წევრის ბატონ შოთა გურგენიძის ინფორმაცია საქართველოში სკოლის კატასტროფული მდგომარეობის შესახებ. გადაწყვიტეს ყოველმხრივი მხარდაჭერა გაუწიონ ამ კავშირს და საინიციატივო ჯგუფის ორი წევრი მიიღეს მრგვალი მაგიდის წევრებად სტუმრის სტატუსით. სტუმრის სტატუსით წევრად იქნა მიღებული, აგრეთვე, საზოგადოება „ფერეიდნელი ქართველის“ თავმჯდომარე ქალბატონი ცისანა კუხიანიძე.

შემდეგი შეხვე[illegible]ა გაიმარ[illegible] მონარქისტული ([illegible]სერვატიულ[illegible] პარტიის შტაბ-ბინ[illegible] (მერაბ კო[illegible]ტავას ქ. № 47), 13 [illegible]ვლისს, პარ[illegible]სკევს, 19 საათზე

**„საქართველოს ინფორმაციის დ[illegible] მოუკიდებელი [illegible]სააგენტო [illegible]ცნე“**

## გასწორება

საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“ ბოდიშს გიხდით გაზეთის 1990 წლის 28 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში — „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის შეხვედრები“ — დაშვებული უზუსტობისათვის. და გაუწყებთ, რომ XIV შეხვედრის შესახებ დაბეჭდილი მასალის მეოთხე აბზაცის მეცხრე სტრიქონიდან დაწყებული ტექსტი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: 8 ივნისს საფრანგეთში, ქ. პარი[illegible] ბჭოთა საელჩოს შენობასთ[illegible] ეწყო თბილისელი სტუდენტ[illegible] დმი სოლიდარობის აქცია [illegible] ათამდე კაცის მონაწილეობით ([illegible] შორის იყო რამდენიმე პარიზე[illegible] მოქალაქე). მათგან სამი კაცი შევიდა საელჩოში.

შემდეგ როგორც ტექსტშია.

# მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების განცხადება

ა. წ. 9 ივლისს სატელევიზიო პროგრამა „კვირიაკით“ გადაიცა განცხადება საკოორდინაციო ცენტრისა, რომელიც ბრალს გვდებს პრესაში ურთიერთთავდაუსხმელობის შეთანხმების ცალმხრივად დარღვევაში და მოლაპარაკების ჩაშლაში, რასაც იმით ასაბუთებს, რომ თურმე „მოლოდინუ გრუზიის“ ა. წ. 6 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულა მ. არჩვაძე-გამსახურდიას წერილი თენგიზ და ედუარდ გუდავებისადმი. სრულის პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამ წერილის გამოქვეყნების ფაქტს არავითარი კავშირი არა აქვს მრგვალ მაგიდასთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მ. არჩვაძე-გამსახურდია არ არის წევრი მრგვალი მაგიდისა და საერთოდ არცერთი პოლიტიკური ორგანიზაციისა. იგი კერძო პირია, რომელმაც მისწერა თ. და ე. გუდავებს თავისი პირადი მოსაზრება რადიო „თავისუფლების“ ერთი გადაცემის გამო, ყოველივე ამას კი არაფერი აქვს საერთო მრგვალი მაგიდისა და საკოორდინაციო ცენტრის ორმხრივ ურთიერთობასთან, მით უმეტეს, რომ არც ძმები გუდავები არიან საკოორდინაციო ცენტრის წევრები.

ამ ფაქტის მომიზეზება საკოორდინაციო ცენტრის მიერ კი გვაფიქრებინებს, რომ მას თავად სურდა მოლაპარაკების ჩაშლა, ვინაიდან მრგვალი მაგიდა იმთავითვე მოითხოვდა მისგან პოლიტიკური შეფასება მიეცა იმ მახინჯი მოვლენებისათვის, რომელთაც უკანასკნელ ხანებში აალაპარაკეს მთელი საქართველო.

სინამდვილეში თავდაუსხმელობის პირობის დარღვევას და მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეურაცხყოფას მართლაც ჰქონდა ადგილი საკოორდინაციო ცენტრის წევრ-ორგანიზაციათა წარმომადგენლების მხრივ. მაგალითად, ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ დამოუკიდებლობის პარტიის რამდენიმე წევრი მიიჭრა აეროპორტში, შეურაცხყოფა მიაყენა მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებს და მოითხოვა აღდგენა მათ მიერ გაუქმებული დეპუტატთა ოთახისა. იმავე პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები სისტემატურად პიკეტებით ემუქრებოდნენ გაზეთ „თბილისის“ რედაქციასა და მოითხოვდნენ ი. სარიშვილის პასკვილის დაბეჭდვას, რომელიც მიმართულია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რაზედაც სპეციალური განცხადება გააკეთა გაზეთმა „თბილისმა“ ა. წ. 2 ივლისის ნომერში.

აი, ამგვარი ფაქტები უთხრიან ძირს საერთო შეთანხმებას და გამორიცხავენ ყოველგვარ დიალოგს ჩვენს შორის. ასე რომ, საკოორდინაციო ცენტრმა მოლაპარაკების ჩაშლა სხვობს საკუთარ თავს დააბრალოს.

**1990 წ. 10 ივლისი.**

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეს-კლუბის განცხადება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ახალგაზრდული პრეს-კლუბი სრულიად ეთანხმება საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“ პრეზიდენტის პაატა გომელაურის მოსაზრებასა და პოზიციას ნეოკომკავშირული მოძრაობის თაობაზე.

ცდებიან ისინი, ვინც კომკავშირული ორგანიზაცია გაუქმებულად დაიგულა. ამაზე მეტყველებენ „თვითლიკვიდაციის“ აქტის შემდეგ განვითარებული მოვლენები. თავიდანვე გასათვალისწინებელი იყო, რომ არსებული ხელისუფლების კონსერვატორული ფრთა ვერ შეეგუებოდა საკითხის ასე გადაწყვეტას, რადგან ამით კარგავდა ახალგაზრდობაში ერთადერთ დასაყრდენს. როგორც ჩანს, ასეც მოხდა, გაუქმებული კომკავშირის ფუნქციონერების ინიციატივით შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, რომელიც სხვა არაფერია თუ არა ნეოკომკავშირული გამოვლინება.

მგვაჩნია, რომ ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ამ კატეგორიის ხალხს (მხედველობაში გვყავს ნეოკომკავშირული ფუნქციონერები) არ გამოეცლებათ ის მთავარი, რაც იზიდავს მათ ხსენებულ ორგანიზაციაში, კერძოდ მატერიალური კეთილდღეობის გარანტია და სრულიად დაუმსახურებელი შეღავათები.

ვეთანხმებით აზრს, რომ ყოფილი კომკავშირის ქონება მთლიანად უნდა განაწილდეს იმ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ეროვნულ პლატფორმაზე კომკავშირის თვითლიკვიდაციამდე.

მოვუწოდებთ მთავრობას შეაჩეროს ქონების თვითნებური განაწილება ნეოკომკავშირულ ჯგუფებს შორის და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მორალურად გამართლებულ, სამართლებრივ ნიადაგზე.

**საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის განცხადება მიმდინარე წლის 5 ივლისის „ახალგაზრდა ივერიელში“ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტების შიმშილობის აქციასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ნაწილმა არასწორად აღიქვა და ჩაგვითვალა იგი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატზე ზეწოლად. ამასთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ჩვენი განცხადება სრულებითაც არ გულისხმობდა მოთხოვნას მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტების სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვის შესახებ, არამედ ამ და სხვა მსგავს შემთხვევებში „წითელი ჯვრის“ საზოგადოება, მიუხედავად მოთხოვნების საფუძვლიანობისა, პირველ რიგში ხელმძღვანელობს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ჰუმანური პრინციპებით. აქედან გამომდინარე დავსვით საკითხი, რათა დაუყოვნებლივ დაწყებულიყო დიალოგი იმ პედაგოგსა და 74 წლის მოხუც ქალთან, რომელთაც მშრალი შიმშილობა გამოაცხადეს, რათა უარი ეთქვათ მათ პროტესტის ამ უკიდურეს ფორმაზე და ამით გადაგვერჩინა მათი სიცოცხლე.**

**საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოება**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს“

**ჩვენი გაზეთის 5 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატის მიმართვა ზემდგომი ორგანოებისადმი. ამ მიმართვას მრავალი გამოხმაურება მოჰყვა. ინსტიტუტში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო მთელი რესპუბლიკის მოსახლეობაა შეშფოთებული. გვწერენ თავად მსმენელები, აბიტურიენტთა მშობლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მოქალაქენი.**

**დღეს გთავაზობთ ამონაწერებს რედაქციაში გამოგზავნილი წერილებიდან. ფართობის სიმცირის გამო მათ სრულად ვერ ვაქვეყნებთ (ავტორთა სტილი დაცულია).**

●

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ძალიან რთული მდგომარეობაა. 73 დღეა მიმდინარეობს მსმენელთა აქცია, რომლის ნაწილმა (7 მსმენელმა და 74 წლის ბებიამ) 26 ივნისს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გამოაცხადეს შიმშილობა. მათი მოთხოვნა იყო, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულიყო ინსტიტუტის წარმომადგენლობითი კრება, რომელიც მსმენელთა წარმომადგენლების თანხლებით განიხილავდნენ ა. წ. 1 ივნისს მიღებულ ორი მინისტრის ერთობლივ ბრძანებას. 29 ივნისს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შედგა შეხვედრა ინსტიტუტის რექტორატის 7 წარმომადგენელსა და მსმენელთა საბჭოს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ მთავრობისა და ორი სამინისტროს წარმომადგენლები, ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი. შეთანხმება მიღებულ იქნა და ის ოქმის სახით დაიწერა და ორივე მხარის მიერ ხელმოწერილია. რექტორატის წარმომადგენლების მხარიდან იყო დაპირება, რომ 30 ივნისს მოიწვევდნენ ინსტიტუტის წარმომადგენლობით კრებას და გააცნობდნენ შეთანხმების ტექსტს. მაგრამ 30 ივნისს წარმომადგენლობითი კრება მაინც არ შედგა, წარმომადგენელთა არასაკმარისი რაოდენობის გამო.

კრება გადატანილ იქნა 2 ივლისისათვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლები გაფრთხილებული იყვნენ, რომ შეკრებამდე მშრალად მოშიმშილეები არ შეწყვეტდნენ შიმშილობას, წარმომადგენლობითი კრება მაინც არ შედგა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ისევ არასაკმარისი რაოდენობა შეიკრიბა.

რექტორატის მიმართვაში რამდენიმე შეცდომაა დაშვებული, კერძოდ ის, რომ ჩვენ უგამოცდოდ ვითხოვთ გადასვლას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. 1 ივნისის ბრძანების შესაბამისად, გამოცდები გადატანილია იანვრის თვეში, რადგან სწავლის პროცესი პრაქტიკულად ჩაიშალა. ასე რომ, უგამოცდოდ ჩარიცხვის პრეცედენტი არ არსებობს.

რექტორატის წარმომადგენლები წერენ, რომ შეხვედრები ბევრჯერ იყო, მაგრამ საერთო შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ. არც ეს არის მართალი, ვინაიდან 1 ივნისს ბრძანების პროექტი შემოთავაზებული იყო ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ, რომელსაც მსმენელთა საბჭო და მშრომელთა კომიტეტი დაეთანხმა.

შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავლად მიგვაჩნია, რომ აუცილებელია 1 ივნისის ბრძანების დაუყოვნებლივი განხორციელება. ამ ბრძანების შესრულება უგამოცდობას არ ნიშნავს, პირიქით, მოსამზადებელ განყოფილებაზე დღესდღეობით არსებული პროგრამის გავლასთან ერთად, პირველი კურსის პირველი სემესტრის ბოლოს გათვალისწინებულ გამოცდა-ჩათვლებთან ერთად უნდა ჩაბარდეს მოსამზადებელი განყოფილების დებულებით გათვალისწინებული გამოცდები (ჩათვლები), რაც საბოლოო ჯამში უკეთეს საშუალებას იძლევა იმ პირების გამოსავლენად, რომლებიც შემდეგ უნდა გახდნენ ექიმები.

ჩვენ ყველანი თანახმა ვართ 1 ივნისის ბრძანების განხორციელებაზე. ბრძანებისა, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრებისა და მსმენელთა საბჭოს შეთანხმების საფუძველზე.

ჩვენ მხოლოდ დიპლომის მოსაპოვებლად როდი მოვსულვართ, ჩვენ გვსურს გავხდეთ ნამდვილი ექიმები. დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად იძულებულნი გავხდით დაგვეწყო აქცია და თავიდან აგვეცილებინა მსმენელთა კატეგორიებს შორის დაპირისპირება. ამის შემდეგ მესამე ძალამ ჩვენ დაგვიპირისპირა ინსტიტუტის სტუდენტები, მაგრამ ჩვენ შევძელით მათთან გამოგვენახა საერთო ენა. შემდეგი ეტაპი ბრძანების განხორციელების დაგვიანებაა. ეს არის მსმენელებსა და მომავალ აბიტურიენტთა შორის დაპირისპირება. ეს მართლაც დიდ საშიშროებას ქმნის, მაგრამ საქმის კურსშია საბურთალოს მილიციის განყოფილება და ყველაფერი კეთდება საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

დღესდღეობით ოთხი მოშიმშილე თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. სამი მშრალად მოშიმშილის გადაყვანა მოხერხდა სველ შიმშილობაზე. 74 წლის ბებია და პედაგოგი უკვე 7 დღეა აგრძელებენ მშრალ შიმშილს. შეიმჩნევა მოშიმშილეების ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.

წერილის დაწერამდე ორი მოშიმშილე ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით გადაყვანილ იქნა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ძვირფასო საზოგადოებავ, გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება შექმნილი ვითარების გამო, რამეთუ 2109 ახალგაზრდის ბედი ჩიხშია მოქცეული. ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს მტყუანი და მართალი...

**მსმენელთა საბჭო,**
**მშობელთა კომიტეტი.**
**5.07.90 წ.**

●

საზოგადოება თქვენი გაზეთის საშუალებით ელის ქმედით გამოხმაურებას სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე შექმნილი ვითარების შესახებ. მე, აბიტურიენტის მშობელს და საზოგადოების წევრს, ძლიერ მაღელვებს ეს მდგომარეობა, რადგანაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, მოხდა არასწორი გადაწყვეტილების მიღება: უნიშნოთა ჩარიცხვა და აგრეთვე დაირღვა სამთავრობო ბრძანება ოთხნიშნიანების I კურსზე ჩარიცხვის შესახებ. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კარგი იქნება თუ I კურსზე გადაირიცხებიან ორ და ოთხნიშნიანები, სხვა დანარჩენები კი კონკურსით „დამაკმაყოფილებლის“ მიღების შემთხვევაში ჩაირიცხებიან სტუდენტებად, ან მიეცემათ დრო იანვრამდე, I სემესტრის დამთავრებამდე, რომ უნიშნოებმა და მათმა მსგავსებმა ჩააბარონ გამოცდები მისაღები საგნებისა.

**ე. ახალკაცი**

●

მე, როგორც სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ოთხნიშნიანი მსმენელის მშობელს, უფლება არ მქონდა არ გამოვხმაურებოდი ამ სიტუაციას.

თუ სხვა ინსტიტუტებს შეეძლოთ დადებითნიშნიანების ჩარიცხვა, რატომ სამედიცინო ინსტიტუტმა ვერ შესძლო იმ 250 ახალგაზრდის ჩარიცხვა? რა დააშავეს მათ? რატომ შექმნა ქაოსი სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ? ამ საქმეს უნდა დაფიქრება და გონივრული გადაწყვეტილება; იმედია, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ბატონი გივი გუმბარიძე მიიღებს გადამჭრელ ზომებს და ვფიქრობ, დადებითად გადაწყდება ყველაფერი. ჩემი აზრით, ამ დაძაბული მდგომარეობის განსამუხტავად არსებობს ერთი რეალური გზა, რომ ძალაში შევიდეს ა/წ ივნისის თვეში განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ შემუშავებული № 252/216 ბრძანება.

**მურთაზ წურწუმია**

●

საზოგადოებას ვერ გაუგია, როგორ შეიძლებოდა გამოცდაზე ორიანის მიღების შემდეგ მიწვევა ინსტიტუტში სასწავლებლად. გამოდის, რომ ეს ყველაფერი გაკეთებული იყო შეგნებულად, რადგანაც დღემდე პროფესორ-მასწავლებლებს არ ეგონათ, რომ 2112 მსმენელს დაიყვანდნენ 162-მდე. რას ელოდნენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები იმ მსმენებისაგან, რომელთაც კანონით არ ეკუთვნოდათ სწავლის გაგრძელება? მადლობას იმისათვის, რომ ბავშვებს სამსახური დაატოვებინეს? ოჯახი მძიმე ეკონომიურ-ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდეს? წყალში გადაყარეს ამდენი თანხა შვილების რჩენისათვის, რომლებსაც ბოლოს გამოცდებიდან გამოვარდნა ელოდათ? მათ ძალიან კარგად იციან, რომ იმ ბილეთებით, რომლითაც ისინი აპირებენ გამოცდების მოწყობას, 200 კაცზე მეტი ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ ნიშანს, კანონით მათ მსმენელებს უნდა მოსთხოვონ ის, რაც ასწავლეს, მაგრამ ასწავლეს კი რამე?!

**დალი სურმანიძე,**
**ბათუმი.**

●

მოგმართავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე 1989 წლის ზაფხულის გამოცდებიდან ოთხი დადებითი შეფასებით ჩარიცხული მსმენელები, ანუ როგორც ჩვენ გვიწოდებენ, ოთხნიშნიანები. სამედიცინო ინსტიტუტში დღესდღეობით შექმნილი მძიმე ვითარება ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად იქცა. გმობენ მსმენელთა მიუღებელ მოთხოვნას პირველ კურსზე გამოცდების (ჩათვლების) გარეშე გადაყვანის შესახებ. ჩვენზე კი არსად გამოყოფილად ლაპარაკი არ არის.

მორიდებით შეგახსენებთ, ჩვენ ხომ ის აბიტურიენტები ვართ, რომლებიც მთელს საქართველოში 1989 წლის ზაფხულის გამოცდებიდან ოთხი დადებითი შეფასებით პირველ კურსზე გამონაკლისის სახით დროებით ვერ ჩავირიცხეთ მხოლოდ და მხოლოდ აუდიტორიებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნაკლებობის გამო.

გამოგვყვეს ამ შეღავათებით სარგებლობის უფლებამოსილთა შორის და ჩაგვრიცხეს მოსამზადებელ განყოფილებაზე. სამაგიეროდ დაგვპირდნენ, რომ მომავალ სასწავლო წელს აუცილებლად ჩაგვრიცხავდნენ პირველ კურსზე. ლექცია-მეცადინეობები უნდა გაგვევლო მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაცემულიყო ჩვენი მომზადების დონე და მიმდინარე აკადემიური შეფასებით მექანიკურად გადავიდოდით პირველ კურსზე.

არაერთგზის მივმართეთ თხოვნით შესაბამის უწყებებს შეესრულებინათ ჩვენდამი ალთქმული დაპირება, მაგრამ პასუხი ყველგან ერთპიროვნული იყო: — გამოცდებზე უნდა გახვიდეთ.

ჩვენ თანახმა ვართ გამოცდებზე (ჩათვლებზე) გასვლისა, თუმცა სრული იურიდიული უფლება გვაქვს, მოვითხოვოთ უგამოცდოდ გადაყვანა, ვთხოვთ ინსტიტუტის რექტორატს, ზემდგომ ორგანოებს, ჩაატარონ ეს გამოცდები ობიექტურობისა და სრული უსაფრთხოების პირობებში და თანაც დროულად, თორემ დაილია მოთმინება...

**კახა ასათიანი,**
**ეკა აროშიძე,**
**ქეთო ალავიძე,**
**არჩილ გოგოლაური,**
**ინგა ჯანელიძე,**
**ირაკლი რუხაძე,**
**ლევან ვაშაკიძე,**
**სულ 21 ხელმოწერა.**

●

საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის საერთოდ უცნობია ის ფაქტი, რომ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელ განყოფილებაზე ვირიცხებით ისეთი კატეგორიის მსმენელებიც, რომლებმაც 1989 წლის ზაფხულის მისაღებ გამოცდებზე მივიღეთ ოთხივე დადებითი შეფასება (ჩვენ მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ ჩვეულებრივი საგამოცდო ცხრილის მიხედვით).

დადებითნიშნიანი აბიტურიენტები პირველ კურსზე ჩარიცხა ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა, გარდა სამედიცინო ინსტიტუტისა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა, სახალხო განათლების მინისტრმა გ. ენუქიძემ, ამავე სამინისტროს მიზნობრივი მოსამზადებელი განყოფილების გამგემ გ. ლასხიშვილმა (შეხვედრაზე იმყოფებოდა სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი ა. ასათიანიც) გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი ჩარიცხვა მოსამზადებელზე და არა პირველ კურსზე განპირობებული იყო მხოლოდ აუდიტორიების უკმარისობით, რომ ჩვენი გადაყვანა პირველ კურსზე **მექანიკურად** მოხდებოდა. იმასაც კი დაგვპირდნენ, რომ პირადად ჩვენ მოგილოცავთო სტუდენტობას. ამის შემდეგ უამრავი ანალოგიური დაპირება თუ „კაცური სიტყვა“ მოგვცეს, მაგრამ ჩვენთვის გაქრა ყველა დაპირება, ყველა იურიდიული თუ მორალური კანონი...

მოგვიანებით, დეკემბრის თვეში მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩარიცხეს ყველა, ვინც კი შეიტანა ინსტიტუტში საბუთები და ჩვენ, ოთხნიშნიანები ყველანაირად გაგვათანაბრეს სხვა კატეგორიის (ორნიშნიან, ერთნიშნიან და უნიშნო) მსმენელებთან.

ასე რომ, 1989 წლის მისაღები გამოცდების ჩატარების შემდეგ დაახლოებით ერთი კვირის მანძილზე, ზემოხსენებული ბრძანების თანახმად, ვიყავით პირველი კურსის სტუდენტები, შემდეგ კი თვითნებურად შეგვიკვეცეს უფლებები და მოსამზადებელი განყოფილების მსმენელებად გამოგვაცხადეს. მსმენელობა კი რა ჯოჯოხეთადაც გვექცა, უკვე ყველასათვის ცნობილია. მაშინ, როცა ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხნენ დადებითნიშნიანი აბიტურიენტები, ჩვენ რაღა დავაშავეთ, რატომ არ განხორციელდა ბრძანება ყველასათვის ერთნაირად?!.

დადგა დრო, რომ აღგვიდგინონ უსაფუძვლოდ და უსამართლოდ წართმეული უფლებები.

**მალხაზ ლასურაშვილი,**
**თეიმურაზ ჭელიძე,**
**მაია ერისთავი,**
**ხათუნა კასრაძე.**

●

ვარ სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების სამკურნალო ფაკულტეტის მსმენელი. ჩარიცხული ვარ კონკურსით (მაღალი ნიშნებით). ამჟამად სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა, ჩემი აზრით, ძლიერ შემაშფოთებელია. მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გაფიცულ აბიტურიენტთა მშობლებს, რომლებიც არასამართლიანი მოქმედებისაკენ უბიძგებენ მსმენელებს. უნდა იქნეს შესწავლილი ამ მშობელთა ვინაობა და მათ პასუხი უნდა აგონ მთელი სიმკაცრით, რადგანაც მათი მოთხოვნა არ შეესაბამება სიმართლეს, მათ შეეძლოთ მოეთხოვათ ობიექტური გამოცდები, რასაც მხარს ალბათ მთელი საქართველო დაუჭერდა.

მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ წელს სწავლა (ჩემი ჯგუფის მაგალითზე) მიმდინარეობდა ობიექტურად. ნიშანს არავინ არ გვაკლებდა, და თუ არაობიექტურობა იყო, მე როგორ ვღებულობდი ფრიადებს, როცა არავინ მყოლია დამხმარე.

ჩემი აზრით, გაიფიცო პირადი მიზნის მისაღწევად, არაკანონიერია. როგორ ყოფნის სინდისი იმ აბიტურიენტს, რომელმაც თავისი სიზარმაცის გამო, თავისი ბებია საშიმშილოდ დასვა. დადგება კი ის ექიმი? ან ის აბიტურიენტები, რომლებიც მეცადინეობას ძალადობას ამჯობინებენ, არიან შეწყნარების ღირსნი?!.

მე მოვითხოვ გამოცდებზე გასვლას, არც არავის აქვს უფლება, უარი მითხრას და დახუროს მოსამზადებელი განყოფილება. მე არა მაქვს გარანტია, რომ ჩავირიცხები, მაგრამ როდის იყო, გამოცდები გარანტიას იძლეოდა?! მე ვიცი, რომ ბევრი გამკიცხავს, დაპირისპირებას დამაბრალებს თანატოლებთან, მაგრამ ღმერთმა იცოდეს, მე უსამართლო მოთხოვნას ვუპირისპირდები.

ამ საკითხის მოგვარება, ჩემი აზრით, შეიძლება ასე: ვისაც სურვილი აქვს, ამჟამად გავიდეს გამოცდაზე, ვინც არ არის მზად, დარჩეს მოსამზადებელზე. ეს შეღავათი, მე მგონია, ყურად უნდა იღონ აბიტურიენტებმა და შეწყვიტონ გაფიცვა.

იქნებ ჩვენმა მთავრობამ ყურად იღოს ჩემი ეს მოთხოვნა (დარწმუნებული ვარ, უმრავლესობის) და უზრუნველყოს სამართლიანი, ობიექტური გამოცდების ჩატარება, ასეთ გამოცდებზე რომ ადრეც ეფიქრა ჩვენს მთავრობას, ასეთ დონემდე არ მივიდოდით. განა გამართლება აქვს განათლების მინისტრის თანხმობას გამოცდების არჩატარების შესახებ? რატომ არ ფიქრობს იმას, რომ რიგითმა ადამიანმა ხვალ შეიძლება შიმშილობის გამოცხადებით მინისტრის სკამიც მოითხოვოს?

**მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი.**

(გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ).

●

მიმდინარე აქციის ძირითადი მიზანია დიალოგის შედეგად გამოინახოს ყველაზე კონსტრუქციული გზა იმისათვის, რათა დაკმაყოფილდეს 2112 მსმენელის მოთხოვნა, ჩაირიცხონ პირველ კურსზე. ცხადია, რომ გამოცდების შედეგად ყველას ჩარიცხვა შეუძლებელი იქნება, რადგან საეჭვოა, ამ უზარმაზარი მასიდან ყველამ დადებითი ნიშნები მიიღოსო, — იტყვის ალბათ გაბრაზებული მკითხველი. ხოლო თუ საკმაო ცოდნა არ გააჩნია, გამოცდასაც ვერ ჩააბარებს, მაშ როგორღა თხოულობს პირველ კურსზე ჩარიცხვასო? ჩვენ კი აღვნიშნავთ იმასაც, რომ მსმენელთა დიდ ნაწილს საკმაო ცოდ-

ნა არ გააჩნია იმიტომ, რომ ეს ცოდნა უნდა მიეღო მოსამზადებელ განყოფილებაზე, მაგრამ ვერ მიიღო.

როგორი ორგანიზაცია გაუწიეს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს? როგორ წარიმართა სწავლის პროცესი ინსტიტუტში? მოწვეული იყვნენ დაბალი კვალიფიკაციის პედაგოგები, რომელთაგან ბევრს არც კი გააჩნდა პედაგოგის გამოცდილება. ბევრ ჯგუფში ყოველდღიური ნიშნები უსაფუძვლოდ და ზერელედ იწერებოდა, თანაც რა ნიშნები, ოთხიანები და ხუთიანები. მსმენელები გონს მაშინღა მოეგნენ, როდესაც ჩააბარდა პირველი სემესტრის ჩათვლები და სემესტრულ ნიშნებად დაიწერა მრავალი ორიანი. აი, რამ გამოიწვია სწავლების მთელი შემდგომი პროცესის პრაქტიკულად ჩაშლა. ნუთუ ამაშიც ინსტიტუტის რექტორატი, სამეცნიერო საბჭო და პროფესორ-მასწავლებლები მსმენელებს ადანაშაულებენ?

პირველ კურსზე 2112 ადამიანის ჩარიცხვის საწინააღმდეგოდ მთავარი არგუმენტია ის, რომ ამდენი სტუდენტის სწავლების საშუალება ინსტიტუტს არ გააჩნია. ამაზეც დიდი დავა და კამათია გამართული. პარასკევს, 29 ივნისს თითქოს მიღწეული იქნა შეთანხმება, კონსტრუქციული წინადადება სწავლების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ. მაგრამ მალე ეს შეთანხმებაც ჩაიშალა. რატომ? თუ დავუკვირდებით, შექმნილი მდგომარეობიდან ეს ერთგვარი გამოსავალია. მით უმეტეს, საყოველთაოდ აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირში არავის შეეზღუდება უფლება უფასოდ სწავლისა; ვისაც გააჩნია მომზადების მაღალი დონე, ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს და ისწავლის ჩვეულებრივ სახელმწიფოს ხარჯზე, ხოლო ვისაც უგამოცდოდ ჩარიცხვა უნდა, ისწავლოს სამეურნეო ანგარიშზე.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ რეალურ გზად გვესახება — შეღავათიან ფასებში სამეურნეო ანგარიშზე სწავლების შემოღება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ბევრმა კარგად მომზადებულმა მსმენელმაც ეს გზა არჩია, რადგან ეშინიათ, ამდენი დავიდარაბისა და სტრესების შემდეგ, გამოცდებზე გასვლისას, შეძლებენ კი თავიანთი ცოდნის სრულად გამომჟღავნებას.

**გიორგი უთურგაშვილი, შალვა გრძელიძე, ხათუნა ქვილორია.**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები.**

●

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი უპრეცედენტო ფაქტი საქართველოში არა თუ ვითარების დესტაბილიზაციას იწვევს, არამედ უფრო შორსაც მიდის. საოცარია, რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება იმას, რომ დაპირისპირება ქართველთა შორის კულმინაციას მიაღწევს მისაღები გამოცდების ჩაშლის შემთხვევაში. ივლისში ხომ ინსტიტუტს (და არა მარტო ინსტიტუტს) მიაწყდება დაახლოებით 25-30 ათასი ქართველი (აბიტურიენტები, მშობლები, ნათესავები). რატომ არავინ უწევს ანგარიშს იმას, რომ გავყვირით სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე და ამ დროს თუ მისაღები გამოცდები არ ჩატარდება, მართლა მომზადებულ, ღირსეულ ახალგაზრდებს უსამართლოდ მოექცევა მთავრობა. ან რატომ არავის აღელვებს ამის გამო ქართველ გოგონათა და ჭაბუკთა საუკეთესო ნაწილის იძულებითი მიგრაცია სხვა რესპუბლიკებში სასწავლებლად, თანაც ქვეყანაში შექმნილ ასეთ ქაოსურ ვითარებაში?

მეჩვენება, რომ სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი უმწვავესი სიტუაციის სტაბილიზაციისათვის ხელისუფლების ინერტულობა პირდაპირ მიმართულია ქართული ეროვნული მოძრაობის ჩასახშობად. ამიტომ უპრიანი იქნება, საზოგადოებრიობამ [მოითხოვოს], რომ ბატონებმა ზვიად გამსახურდიამ, ნოდარ ნათაძემ და სხვა ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა ყველა საქმე დროებით გვერდზე გადადონ და სასწრაფოდ იზრუნონ სამედიცინო ინსტიტუტის და მთელი ქართველი ერის ამ ურთულესი პრობლემების მოსაგვარებლად, თორემ ურმის გადაბრუნებას ბევრი არაფერი აკლია.

**მელსი ყურაშვილი,**
**სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.**

●

**მოვითხოვთ:**

1) რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, განათლების, ჯანდაცვის სამინისტროებმა და რექტორატმა ა/წ 15 ივლისამდე გამოაცხადონ მიღება სამედიცინო ინსტიტუტში 1990-1991 სასწავლო წლისათვის.

2) შეუქმნან ინსტიტუტს პირობები მისაღები გამოცდების ნორმალური ჩატარებისათვის.

3) კატეგორიულად იქნას უარყოფილი მსმენელთა უკანონო მოთხოვნები, რამეთუ მათი მოთხოვნები პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ ყველა იმ პროცესზე, რომლებიც მისაღები გამოცდების ჩატარებასთან არის დაკავშირებული.

4. რესპუბლიკის პროკურატურამ გადასინჯოს ყველა მსმენელის პირადი საქმე და გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

ა) როგორ მოხდა, რომ მოსამზადებელ ფაკულტეტზე ჩაირიცხა 2112 მსმენელი.

ბ) რატომ ემთხვევა მოსამზადებელი განყოფილების მსმენელების უკანონო მოთხოვნები სამინისტროს დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს.

გ) ზემოთაღნიშნულ კითხვებზე პასუხი საზოგადოებას ეცნობოს პრესით და ტელევიზიით.

**აბიტურიენტთა მშობლების სახელით: ჯანჯღავა, ვანიშვილი, ნიჟარაძე, ფოლადიშვილი, ლოლუაშვილი, ალანია.**

●

მოგმართავთ უკიდურესად აღშფოთებული საზოგადოება. ბოლო არ უჩანს სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი ფაკულტეტის აბიტურიენტთა თავხედურ აქციას. დარღვეულია ინსტიტუტის ცხოვრების რიტმი, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის აღარ არსებობს ელემენტარული მუშაობის პირობებიც კი.

პასუხი უნდა გასცეს მთელმა საქართველომ, თუ ვის, რომელ ერს სჭირდება ასეთი ცოდნის, მომზადებისა და ზნეობის ექიმი, მუხლმოდრეკილი რომ ვეხვეწებით როგორმე სამზე ჩააბარონ გამოცდა, მაშინ, როცა საუკეთესოდ მომზადებულ ახალგაზრდობას საბუთებიც კი ვერ შეუტანია.

მკაცრად მოვითხოვთ: სასწრაფოდ გამოქვეყნდეს იმ აბიტურიენტთა სია, ვისაც არ სურს გამოცდის ჩაბარება, მიეცეს ორი კვირის ვადა და ჩაუბარებლობის შემთხვევაში, როგორც უმაღლესში ჩარიცხვის წესები მოითხოვს, გარიცხულ იქნას.

შესწავლილ იქნას მათი მშობლების საქმიანობა და დადგეს მათი სამსახურში ყოფნა-არყოფნის საკითხი საზოგადოებრივი უწესრიგობის და ქაოსისათვის.

ყოველივე ამის შემდეგ საერთოდ გაუქმდეს მოსამზადებელი განყოფილება სამედიცინო ინსტიტუტში.

მოგიწოდებთ მთელი საქართველოს ექიმებს, ჯანსაღ საზოგადოებას მხარდაჭერისაკენ, გამოხმაურებისაკენ.

საქართველოს ჩვენ უნდა გადავურჩინოთ მომავალი.

**მზიხადარ პაპიძე, ლ. ბერძენიშვილი, ზეინაბ ადეიშვილი, ფ. ადეიშვილი.**

**სამედიცინო ინსტიტუტში შექმნილი საგანგებო ვითარების ნორმალიზაციისათვის კატეგორიულად მოვითხოვ დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი სამართლიანობა შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ჩაირიცხონ ოთხნიშნიანები პირველ კურსზე, ხოლო დამარჩენი მსმენელებისათვის განხორციელდეს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება.**

**ქ. ვალეს მცხოვრები გოჩა ბრიგალაშვილი**

# ნიჭი სიყვარულისა



ასეთი ადამიანები ალამაზებენ ჩვენს ყოფას, მშვენიერებასთან შეხვედრის სიხარულით გვასაჩუქრებენ. ამ რთულ, დაძაბულ ცხოვრებაში კი, მოგეხსენებათ, რა ფასიც აქვს ისეთ მოღვაწეებს, რომელთაც ხელეწიფებათ ადამიანის სულის უფაქიზეს სიმებს შეახონ ხელი და ნათელი კვალი დატოვონ მათს გულებში. შემოქმედების ნიჭი — ღვთით ბოძებულია, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს. ხოლო თუ ამას ემატება ნიჭი სიყვარულისა — ყველა ნიჭზე მაღალი და ძლიერი, მაშინ ასგზის ბედნიერია მისი მფლობელი.

ასეთად მესახება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ირმა სოხაძე. სულ პატარა გოგონა ლაღად, თავისუფლად გამოჩნდა ქართული კულტურის სარბიელზე, მისი სახელი საოცრად სწრაფად გახდა ფართოდ ცნობილი და პოპულარული. ეს კი, ალბათ, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. კომპოზიტორი, პიანისტი, მომღერალი, მრავალი სიმღერისა და ტექსტის ავტორი, პედაგოგი, და ბოლოს, პირველი ქართული საბავშვო მუსიკალური თეატრის დამაარსებელი და მისი სულისჩამდგმელი. აქ სრულად გამომჟღავნდა ირმა სოხაძის ნიჭის მრავალფეროვნება. მისი საბავშვო მიუზიკლები შეიყვარეს არა მარტო საქართველოში, არამედ ისინი აჟღერდნენ მოსკოვში, პოლონეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ფირმა „მელოდიამ“ გამოსცა ორი ფირფიტა — გიგანტი „ზღაპარ-ქალაქების“ ჩანაწერებით. ახლა ირმა სოხაძე მთელს თავის ნიჭს, გამოცდილებას სიყვარულით ახმარს ნორჩი თაობის ესთეტიკურ აღზრდას.

ამ დღეებში კი მსახიობმა კიდევ ერთი სიხარული გვაჩუქა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს საბავშვო ფონდისათვის გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი დევიზით „დედა-საქართველო ყველას მშობელია“, რომლის მთელი შემოსავალი განაწილდება უდედმამო, მშობელთა ზრუნვას მოკლებულ და ინვალიდ ბავშვებს. ამ იდეის ორგანიზატორი იყო ირმა სოხაძე, რომელსაც ერთსულოვნად ამოუდგნენ მხარში ქართული ესტრადის ახალგაზრდა და საშუალო თაობის ცნობილი მსახიობები — ეკა მამალაძე, ეკა კვალიაშვილი, მაია დათუნაშვილი, სოსო პავლიაშვილი, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი, რომან და თემურ რცხილაძეები, გია მაჭარაშვილი, თემურ წიკლაური, ინგა ბერაძე, თემურ ყვითელაშვილი, ბესიკ კალანდაძე, ნუგზარ ერგემლიძე, ზურაბ კობეშავიძე, ოთარ ტატიშვილი, ნატა ასათიანი, ლევან ლაზარიშვილი, ალეკო ბერძენიშვილი, რუსუდან მუმლაძე, გია სურამელაშვილი, ანსამბლები „ოთხი გია“, „პირამიდა“, „ნატვრის ხე“, „მართვე“, „ჰარმონია“, „იასამანი“, „რია-რია“, ქალაქ „მზიურის“ საბავშვო მუსიკალური თეატრი, ანა ცქვიტინიძე, რუსუდან არველაძე, ირინა სოლტიში, თეონა კირკიტაშვილი. ეს არასრული სიაა, ამ ლამაზი და კეთილშობილური აქციის მონაწილეებისა. კონცერტი დაამშვენეს წყნეთის ობოლ და მშობელთა ზრუნვასმოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებმა, თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მოსწავლე დიანა ღურწკაიამ, რომელმაც ავტორ ირმა სოხაძესთან ერთად საოცრად ემოციურად შეასრულა პოპულარული სიმღერა „გვესროლეთ“ ნაზი კილასონიას ლექსზე.

ამთავითვე აღვნიშნავთ კონცერტის მთავარ იდეას: ეს მუსიკალური დღესასწაული ჩაფიქრებული იყო არა როგორც კომერციული, არამედ წმინდა საქველმოქმედო აქცია და ამიტომ იყო, რომ მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. დღემდე არ წყდება ფულადი გადარიცხვები ბავშვთა ფონდის ანგარიშზე. დაინტერესებულ პირებს კი შევახსენებთ, რომ ფონდის ანგარიშის ნომერია 000700516 ჟინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველო. კონცერტზე ბევრი კარგი ქართული სიმღერა აჟღერდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კონცერტისათვის სპეციალურად დაიწერა ნაწარმოებები. შედგა თექვსმეტი სიმღერის პრემიერა.

ასეთი კონცერტები ყველას სჭირდება, ჩვენ — უფროსებსაც და მათაც, ვისთვისაც იგი იყო განკუთვნილი. სასურველია ხშირად გაიმართოს მსგავსი საღამოები, რომლებიც მატერიალური დახმარების აღმოჩენასთან ერთად, გაგვახარებენ საკუთრივ საკონცერტო პროგრამის მაღალმხატვრული დონით და, რაც მთავარია, სიყვარულის, სითბოს, თანადგომის და კეთილი ნების გულწრფელი გამოხატვით.

**მერი ბაბრიაძე,**
**საქინფორმის კორესპონდენტი**

# ეკოლოგიური ინტერბანაკი ლაგოდეხში

ქართველმა და დასავლეთ გერმანელმა ახალგაზრდებმა, 24 ივნისს, ლაგოდეხის რაიონში, ჩამოაყალიბეს ეკოლოგიური ინტერბანაკი, რომელიც დღესაც მოქმედებს. ეკოლოგიური ბანაკის ამოცანაა, მოსწავლე ახალგაზრდობამ ეკოლოგიური განათლება მიიღოს. ჩვენს სტუმრებს, ქართველი ახალგაზრდებისაგან განსხვავებით, დიდი გამოცდილება აქვთ ასეთი ინტერბანაკების მოწყობისა. ეკოლოგიური ინტერბანაკის შექმნის იდეა ეკუთვნის საქართველოს ბუნების დაცვის ახალგაზრდულ გაერთიანებას, ხოლო პრაქტიკულად იგი განახორციელა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურმა საზოგადოებამ და ბავშვთა ფონდმა.

ბანაკს ხელმძღვანელობდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილწყალქანალის“ საწარმოო წყლებზე ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოადგილე აკაკი ფანჩულიძე. ჩვენ შევხვდით მას და ვთხოვეთ, ემბანა მოსწავლეების მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

— ბანაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის კვლევა-ძიების საგანია ლაგოდეხის რაიონის ეკოლოგიური პრობლემების გამოვლენა და წარმოჩენა. ახალგაზრდებმა აიღეს შიგა წყლებისა და ნიადაგის სინჯები, როგორც ლაგოდეხის ნაკრძალში, ასევე ქალაქის სხვა ადგილებში და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. ახალგაზრდებმა ამ სინჯების მიხედვით დაადგინეს წყლისა და ნიადაგის გაბინძურების ხარისხი. გამოიკვლიეს ქიმიური ანალიზის თვალსაზრისით ის წერტილები, სადაც გაბინძურებული ჩამდინარე წყლები უერთდებიან ბუნებრივ წყალმდენს.

ახალგაზრდებმა გამოიკვლიეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და დაადგინეს, რომ ამ რაიონში პროდუქტებში ნიტრატების რაოდენობა დასაშვებ ნორმას არ აღემატება. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სავარგულებიდან მოწეულ პროდუქტებშიც.

ბანაკის წევრებმა ჩაატარეს აგრეთვე სანიტარიული ღონისძიება, დაასუფთავეს ლაგოდეხის ნაკრძალის შესასვლელი ტერიტორია.

და კიდევ, ბანაკში მიმდინარეობდა სასწავლო მუშაობა. ახალგაზრდებმა შეისწავლეს ტყის შემქმნელი ხე-მცენარეებისა და ბალახეულობის, აგრეთვე ცხოველთა პოპულაციების ვერტიკალური განლაგება ლაგოდეხის ნაკრძალში, — თქვა ბოლოს ბატონმა აკაკიმ.

ოქტომბრის თვეში დასავლეთ გერმანელი ახალგაზრდები ქართველ თანატოლებს იწვევენ ზაარის მხარეში ანალოგიური ინტერბანაკის მოსაწყობად.

**მზია ათაბეგაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ღორძინება

ვაკე

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“


# განცხადება

საქართველოს მშრომელთა კავშირი — საქართველოს სახალხო ერთიანობის პარტია ყოველდღე (გარდა კვირისა) 12.00 საათიდან 16.00 საათამდე ეროვნული ფორუმის შენობაში (რუსთაველის 29, პირველი სართული, ინვალიდთა ასოციაციის რეზიდენცია, ტელეფონი 93-70-32) აწყობს საკონსულტაციო შეხვედრას მუშათა და გლეხთა, სამეცნიერო, შემოქმედებითი, ტექნიკური ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.

**პარტიის დამფუძნებელი კომიტეტი.**

# მიმართვა

## უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების წელს კურსდამთავრებულ ქართველ ლეიტენანტებს და ყველა ქართველ ოფიცერს!

ჩვენ, ქართველი ლეიტენანტების ჯგუფი, გავეცანით რა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ა/წ 9 მარტის დადგენილებას, რომ საბჭოთა არმია ჩვენი სამშობლოსათვის წარმოადგენს საოკუპაციო არმიას, ვაცხადებთ უარს მასში სამსახურზე, გვსურს მივიღოთ მონაწილეობა ქართული ეროვნული არმიის შექმნაში და მოვუწოდებთ ყველა ქართველ ოფიცერს, ვისაც გული შესტკივა საქართველოს მომავალზე, შევიკრიბოთ ქ. თბილისში 17 ივლისს 14 საათზე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, მერაბ კოსტავას ქ. № 1, რათა საერთო გადაწყვეტილება მივიღოთ ჩვენი ადგილის შესახებ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში საქართველოს აღორძინებისათვის!

**გიგა ბარათაშვილი,**
**გიორგი ჟურაშვილი,**
**ელგუჯა ჭინჭარაული.**



ჩვენი მესიტყვე

№ 1

გამოვიდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ მწერალთა ასოციაციის ახალი ლიტერატურული ორგანო „ჩვენი მესიტყვე“. გაზეთის მიზანი, როგორც სარედაქციო წერილშია აღნიშნული, არის ეროვნული მოძრაობისა და მწერლობის შეკავშირება, მათი ინტელექტუალური ძალებისა და საბრძოლო სულისკვეთების გაერთიანება. ამ ლიტერატურული ორგანოს არსებობა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან სრულიადაც არ გულისხმობს მწერალთა პოლიტიზაციას, რადგან თვით საქართველოს პოლიტიკური ძალების ინტერესებში უნდა შედიოდეს ნამდვილი პროფესიული, კონიუნქტურისაგან თავისუფალი მწერლობის აღორძინება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მომავალი თავისუფალი საქართველოს ზნეობრივ და სულიერ აღორძინებას, იმ ჰუმანისტური იდეების განვითარებას, რომელზეც უნდა დაემყაროს ჩვენი სამშობლოს მომავალი.

„ჩვენი მესიტყვე“ ღირს 50 კაპიკი.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ირანში — საქართველოს სახელით

ერთ კვირაზე მეტია ირანში იმყოფება რუსთაველის საზოგადოების სულიერი აღორძინებისა და ჰარმონიული განვითარების ასოციაციისა და მასთან არსებული ქართველ მაშველთა კონკურსის მიერ შექმნილი მაშველთა დამხმარე ჯგუფი. მათ დაზარალებული მოსახლეობისათვის წაიღეს მედიკამენტები, საკვები, სხვადასხვა პირველი მოხმარების საგნები.

ჯგუფის შემადგენლობაში არიან ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი მეფისაშვილი და კორპუსის ხელმძღვანელი კორნელი გრძელიძე, სულ 11 კაცი.

ჯგუფი ძირითადად ექიმებითა და ალპინისტებითაა დაკომპლექტებული. ჯერჯერობით მხოლოდ ესაა, რაც მათ შესახებ ვიცით, უფრო დაწვრილებით კი მათი დაბრუნების შემდეგ ვუამბობთ მკითხველებს.

**საკუთარი ინფორმაცია**

# სეზონს მომზადებული შეხვდნენ









ყველა ღონე იხმარეს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის საცურაო აუზის თანამშრომლებმა, რათა აუზი ზაფხულის სეზონისთვის მზად ყოფილიყო.

— გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ ძირითადი მაინც შევძელით. თბილისიდან სპორტულ გამაჯანსაღებელი ჯგუფები მივიღეთ და ჩვენ თანამოქალაქეებსაც ცურვის საშუალება მივეცით. ამ ზაფხულს, სათანადო სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ცურვის მოყვარულ ყველა თანამოქალაქესა და ქალაქში ჩამოსულ სტუმარს მოვემსახურებით, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ პაწიებისათვის საჭყუმპალაოს მოწყობა. — გვითხრა ინსტრუქტორ-მეთოდისტმა გივი ალნიაშვილმა.

აუზს ამ დღეებში თბილისიდან სავარჯიშოდ საქართველოს სინქრონული ცურვის ნაკრებიც ესტუმრა. ნაკრების გოგონებმა თავისი მომაჯადოვებელი ვარჯიშით აქაურობას უფრო მეტი სილამაზე შემატეს.

**შალვა შარაშიძე**

**სურათებზე:** აუზის ინსტრუქტორ-მეთოდისტი გივი ალნიაშვილი; საცურაო ბილიკზე არიან ნორჩი სპორტსმენები; სინქრონული ცურვის ნაკრების გოგონათა ერთი ჯგუფი.

**ავტორის ფოტოები.**

# საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე;**

**I. დღის განყოფილებაზე:**

**1. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და გახალების ორგანიზაცია;**

**2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;**

**3. საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა, ექსპლუატაცია და შეკეთება;**

**4. საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის მართვა და გადაზიდვების ორგანიზაცია.**

**II. დაუსწრებელ განყოფილებაზე:**

**1. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და გახალების ორგანიზაცია;**

**2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;**

**3. საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის მართვა და გადაზიდვების ორგანიზაცია;**

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. ისინი შემოტანილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086 უ), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების მიერ, ექვსი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3X4, დამოწმებული).

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 1-დან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელნი, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოცდებს აბარებენ:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება);

2. მათემატიკაში (ზეპირი).

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობის დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით.

ყველა სპეციალობაზე უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა და დაჯილდოებულნი არიან ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე საშუალო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი.

ა) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, რომლებიც ავადმყოფობის, ასაკისა და შტატების შემცირების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში არიან გასული (დათხოვნიდან ორი წლის განმანლობაში).

ბ) საშუალო სკოლადამთავრებულები, რომლებიც წარმატებებისათვის დაჯილდოვებულნი არიან ქებების სიგელით, თუ ამ საგნებში გათვალისწინებულია მისაღები გამოცდები. ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით (საერთო წესით) და საერთო საცხოვრებლით.

საბუთები მიიღება და ცნობები გაიცემა ყოველდღე, 9-დან 16 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

ტექნიკუმის მისამართია: ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი № 11; ტელეფონი: 32-72.

**საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექცია.**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „აღორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხალები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ გალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.